ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში

1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ 3

მონიტორინგის მეთოდოლოგია 3

ძირითადი ტენდენციები 3

მონიტორინგისთვის შერჩეული სატელევიზიო არხების ანალიზი 5

- პირველი არხი 5
- საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია 8
- იმედი 10
- მთავარი არხი 14
- პალიტრა ტვ 17
- მაესტრო 19
- რუსთავი 2 22
- ტვ პირველი 25
- ობიექტივი 27
- კავკასია 31
- „ ფორმულა“ 33
- POSTV 36

გენდერული სტერეოტიპები საინფორმაციო სატელევიოზიო ახალ ამბებში 40

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ გაეროს განვითარების პროექტ „საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევის“ ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური დახმარებით აკვირდება ტელემედიის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2020 წლის 15 ივნისს და დასრულდება 2020 წლის დეკემბერში.

დაკვირვება მიმდინარეობს შემდეგ 12 სატელევიზო არხზე: პირველი არხი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია მთავარი, რუსთავი 2, იმედი, ფორმულა, ტვ პირველი, მაესტრო, ობიექტივი, კავკასია, პალიტრა ტვ, POSTV

მონიტორინგის მეთოდოლოგია

სატელევიზიო მთავარი საინფორმაციო გამოშვებების წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტებია: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება. გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და, ასევე, მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს საკუთარ თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასებაც. ყურადღება ექცევა, როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს. თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის შესახებ რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება, ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები).

ძირითადი ტენდენციები:

- პარტიებს შორის ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. მას მოსდევს „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო.“
- „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად „POSTV“-ზე გაშუქდა (51 %)

- „მთავარ არხზე“ „ქართული ოცნების“ გაშუქების უარყოფითი ტონი ყველაზე მეტი 70 % იყო. კრიტიკული სიუჟეტები ,,ქართული ოცნების“ მიმართ ყველაზე ხშირად ამ არხის ეთერში გადის.

- „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაზე დადებითად გაშუქდა „მთავარი არხის“ ეთერში, დათმობილი დროის 19 % პოზიტიური იყო. ეს პარტია ყველაზე უარყოფითად „ობიექტივმა“ გასშუქა 97 %.

- „ევროპულ საქართველოს“ ყველზე მეტი დრო „ფორმულას“ ეთერში დაეთმო. ყველაზე პოზიტიურადაც ,, ფორმულაზე” გაშუქდა და დათმობილი დროის 5 %-ზე ოდნავ მეტი შეადგინა. ,,ევროპული საქართველო “ყველაზე უარყოფითად (87 %) „ობიექტივის“ ეთერში გაშუქდა.

- პარტიას „ლელო საქართველოსთვის“ ყველზე მეტი დრო „ფორმულას“ ეთერში დაეთმო. დადებითმა გაშუქებამ დათმობილი დროის 5% -მდე შეადგინა. ყველაზე პოზიტიური გაშუქება პარტიას ჰქონდა „აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ (29 %).

- „იმედის“ ეთერში პოზიტიური იყო მთავრობისთვის დათმობილი დროის 50 %.

- მიხეილ სააკაშვილს ყველაზე მეტი დრო „მთავარმა არხმა“ დაუთმო. ყველაზე დადებითად მიხეილ სააკაშვილი ,,მთავარი არხის” ეთერში გაშუქდა, დათმობილი დროსი 29 % პოზიტიური იყო.

- მიხეილ სააკაშვილი ყველაზე უარყოფითად POSTV-ზე გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 83% ნეგატიური იყო .

- ხელისუფლებისადმი ყველაზე კრიტიკული ტონი აქვს „ფორმულას“. მისთვის დათმობილი დროის 73 % უარყოფითი იყო.

- წინა წლების მსგავსად ობიექტივი ერთადერთი არხია, რომელიც კვლავ დიდ დროს უთმობს „პატრიოტთა ალიანსის“ გაშუქებას

- პატრიოტთა ალიანსის“ ყველაზე მეტი დრო ,,ობიექტივზე“ დაეთმო და მისთვის დათმობილი დროის 51 % დადებითი იყო.

- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად თითქმის ყველა არხზე პრობლემად რჩება სიმცირე სიღრმისეული, მოკვლევითი სიუჟეტების, რომლებიც დაკავშირებული იქნება საარჩევნო თემატიკასთან და ამომრჩეველს მეტად დაეხმარება ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.

- წინა პერიოდთან შედარებით შეიმჩნევა ეთიკური დარღვევების ფაქტების მატება.

- მონიტორინგის პირველ საანგარიშო პერიოდთან შედარებით სატელევიზიო ახალ ამბებში პოლარიზების პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. მკვეთრად გაიზარდა პროსახელისუფლებო ტელევიზიების მიერ ოპოზიციის ნეგატიურად გაშუქების და დისკრედიტაციის ფაქტები, ისევე, როგორც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად

განწყობილმა ტელევიზიებმა გაზარდეს ნეგატიური ტონი მმართველი პარტიის და მთავრობის მიმართ.

- წინა სამონიტორნგო პერიოდთან შედარებით თითქმის არ გვხვდება გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი განცხადებების უკომენტაროდ გაშუქება.
- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, საინფორმაციო გამოშვებებში ისე დაფიქსირდა ქსენოფობიური შინაარსის შემცველი მასალების ტირაჟირება

მონიტორინგისთვის შერჩეული სატელევიზიო არხების ანალიზი

პირველი არხი

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მოამბე 21 საათზე“ და გადაცემას „ახალი კვირას“.

„პირველ არხზე“ ამ პერიოდის განმავლობაში „მოამბეში“ ყველაზე მეტი დრო მთავრობას და ,,ქართულ ოცნებას“ დაეთმო. ყველაზე დადებითად გაშუქდა პრემიერმინისტრი გიორგი გახარია. მისთვის დათმობილი დროის 29 % პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად კი გაშუქდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, მისთვის დათმობლი დროის 21 % ნეგატიური იყო.



შინაარსობრივი შედეგები

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, პრემიერმინისტრის და მთავრობის გაშუქების პოზიტიურმა ტონმა მოიმატა. საქართველოს ექსპრეზიდენიტის, მიხეილ სააკაშვილის გაშუქების შემთხვევაში კი უარყოფითი ტონის ზრდა დაფიქსირდა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ „პირველი არხი“ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბების გაშუქებისას მეტწილად იცავდა ეთიკურ სტანდარტებს. თუმცა კვლავ პრობლემად რჩება სიღრმისეული, ექსკლუზიური მასალების ნაკლებობა. „მოამბის“ ეთერში შუქდება ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, თუმცა არხის საერთო-სარედაქციო პოლიტიკა ხელისუფლების მიმართ ლოიალური უფროა, ვიდრე კრიტიკული.

მონიტორინგის პირველ ეტაპზე პირველი არხი პოზიტიურად წარმოაჩენდა აღმასრულებელ ხელისუფლებას სამთავრობო გადაწყვეტილებების და სახელმწიფო პროგრამების დადებით ტონში გაშუქების გზით. მეორე საანგარიშო პერიოდში პრემიერმინისტრის და მთავრობის პოზიტიური გაშუქების წილი უფრო გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში პირველი არხის ეთერში თითქმის არ გასულა მწვავე, ხელისუფლების მამხილებელი კრიტიკული სიუჟეტები. აღსანიშავია, რომ მონიტორინგის რაოდენობრივ მაჩვენებლებში ხელისუფლების კრიტიკული ტონი ძირითადად რომელიმე პოლიტიკური პარტიის კომენტარებით იყო განპირობებული.

წინასაარჩევნო პერიოდში „მოამბე“ ცდილობს, მაყურებელს მიაწოდოს ინფორმაცია არჩევნებში ჩართული სუბიექტების შესახებ, თუმცა მათ აქტივობას ძირითადად ფორმალური ბალანსის დაცვით და ზედაპირულად აშუქებს. შეხვედრები ამომრჩეველთან, კანდიდატის წარდგენა მოსახლეობისთვის, საარჩევნო პროგრამის წარდგენა და სხვა ამ შინაარსის სიუჟეტებიდან ამომრჩეველი ვერ იღებს ამომწურავ ინფორმაციას. 30 სექტემბრიდან „მოამბის“ ეთერში თანაბრად ეთმობა 5-5 წუთი, როგორც კვალიფიციურ, ასევე არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს. თუმცა ეს ფორმატიც ვერ უზრუნველყოფს ამომრჩევლის ამომწურავ ინფორმირებას.

რაოდენობრივი მონიტორინგის შედეგების მიხედვით „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო მმართველ პარტიას და მთავრობას დაეთმო. პირველი არხი დადებითად აშუქებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. მათ შორის პოზიტიურად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გაშუქდა იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის 8-წლიანი მუშაობის შემჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია 29 სექტემბერს, „მოამბეში“ , პრეზენტაციის ადგილიდან ჩართულმა ჟურნალისტმა ხაზი გაუსვა, იმ რეფორმებს, რომელიც მინისტრმა მან წარმატებულად მიიჩნია.

„თეა წუწლუკიანმა დეტალურად ისაუბრა მართლმსაჯულების სისტემის სამ ტალღაზე, რომელიც, როგორც მინისტრმა აღნიშნა, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ქვეყანაში ადამიანის უფლებებს, მათ შორის, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს. ასევე, მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა გახდა დაცული. ასევე, თეა წულუკიანმა ისუბრა აქ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, რომელიც, მინისტრის შეფასებით, არის ინოვაციური და ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად ითვლება ევროპის მასშტაბით“. იუსტიციის მინისტრის

8-წლიანი მუშაობა მხოლოდ დადებითად იყო შეფასებული. სიუჟეტში არაფერი თქმულა იმ კრიტიკაზე, რომელიც წლების განმავლობაში ისმოდა მინისტრის მისამართით. მათ შორის, არ უხსენებიათ სასამართლო რეფორმის ჩავარდნა, რაც არაერთი ორგანიზაციის შეფასებაშია მოხსენიებული. ასევე, მაყურებელმა ვერ მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რეფორმების განხორციელების საქმეში პარტნიორი ორგანიზაციები თეა წულუკიანს უნდობლობას უცხადებდნენ და მის გადადგომასაც მოითხოვდნენ.

პოზიტიურ ტონში გაშუქდა ასევე „ქართული ოცნების“ პროგრამის პრეზენტაცია 1-ელ ოქტომბერს. „თარიღი სიმბოლურად შეირჩა – რვა წლის წინ ამ დღეს „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება გადაიბარა. სწორედ რვაწლიანი მმართველობის შედეგებს, დღემდე გატარებულ რეფორმებს და სამომავლო გეგმებს მიეძღვნა პარტიის თავმჯდომარის სიტყვით გამოსვლა.“ -საინფორმაციო გამოშვების წამყვანი ხაზს უსვამს გატარებულ რეფორმებს და სამომავლო გეგმებს, თუმცა არ შეახსენებს მაყურებელს მმართველი პარტიის მმართველობის დროს გამოვლენილ ხარვეზებს, აქამდე შეუსრულებელ დაპირებებს.

პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებაში აქტიურად შუქდება „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ საქმიანობა. ეს ტენდენცია მონიტორინგის პირველ ეტაპზეც შეინიშნებოდა, მაგრამ არჩევნების მოახლოებასთან ერთად უფრო გახშირდა. 6 ოქტომბერს „მოამბეში“ ორი სიუჟეტი მიეძღვნა ივანიშვილის მიერ იპოდრომის ტერიტორიის თბილისის მერიისთვის უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტს. „თბილისის ცენტრალური პარკის პროექტის პრეზენტაცია“.

სიუჟეტი სრულად დაეთმო იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ივანიშვილის საჩუქარი ქვეყნის დედაქალაქისთვის. პრემიერმინისტრი გიორგი გახარია, მთავრობის და „ქართული ოცნების“ წევრები მადლიერებას გამოხატავდნენ თავად ივანიშვილის და მისი ოჯახის მიმართ. მეორე სიუჟეტში კი, იმ კრიტიკული მოსაზრების გაშუქების ნაცვლად, რაც ამ ფაქტთან დაკავშირებით არსებობს, - მთავარი აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, თუ „ვინ აკრიტიკებს“ ივანიშვილს და რატომ არა აქვთ კრიტიკული აზრის გამომთქმელებს ამგვარი მოსაზრებების გამოთქმის უფლება. ამასთან, მაყურებელს არ უხილავს დამოუკიდებელი ექსპერტების ან არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები, შეიცავს თუ არა არჩევნებამდე 24 დღით ადრე მმართველის პარტიის თავმჯდომარისგან ამგვარი მრავალმილიონიანი ქონების ჩუქება მუნიციპალიტეტისთვის ამომრჩეველზე გავლენის მოხდენის რისკებს. ფონდი „ქართუს“ საქმიანობის შესახებ სიუჟეტები ,,მოამბეში” გავიდა 12 და 15 ოქტომბერსაც, - სოფელ ძველ ხიბულაში საბავშვო ბაღის გახსნისა და ურბანული ტყის ლანდშაფტის აღდგენის პროექტის შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

რაოდენობრივი შედეგები

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ეთერში, ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო. ყველაზე დადებითად „ქართული ოცნება“ გაშუქდა პოზიტიური ტონით (34 %). ყველაზე უარყოფითად კი მთავრობა, მისთვის დათმობილი დროის 20 % უარყოფითი ტონით.



შინაარსობრივი შედეგები

(მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებაში

მოიმატა „ქართული ოცნების“ და ადგილობრივი ხელისუფლების პოზიტიური ტონით გაშუქების მაჩვენებელმა. ასევე, გაიზარდა ცენტრალური მთავრობის გაშუქების უარყოფთი ტონიც).

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საანგარიშო პერიოდი დაემთხვა აჭარაში კორონავირუსის ეპიდაფეთქებას, ვითარების გამწვავებას და ვირუსით ყოველდღიურად არაერთი ადამიანის გარდაცვალების ფაქტებს, რაც აისახა მონიტორინგის შედეგებზე, როგორც რაოდენობრივ, ასევე შინაარსობრივ ნაწილში. კერძოდ, საინფორმაციო გამოშვებაში

წინასაარჩევნოდ საარჩევნო სუბიექტების პოლიტიკური პარტიების აქტივობის გაშუქებაზე მეტად ეპიდემიის მართვას და მის შედეგებს ეთმობოდა. ამასთან, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქებისას ძირითადად დაცული იყო ეთიკური სტანდარტები. აჭარის ტელევიზიის ძირითად გამოწვევად კვლავ რჩება ანალიტიკური, სიღრმისეული მასალების ნაკლებობა და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ზედაპირული გაშუქება.

აჭარის ტელევიზია გამოირჩევა ადგილობრივი პრობლემების გაშუქებით. მის ეთერში ხშირად ისმის მოქალაქეების ხმა. სიუჟეტებში რესპონდენტები ლაპარაკობენ გაჭირვებაზე, რომელიც უკავშირდება როგორც კორონავირუსის გამო დაწესებულ შეზღუდვებს, ისე ლარის კურსის გაუფასურებას და გაძვირებულ საკვებსა თუ მომსახურებას. აჭარის ტელევიზიიდან ხშირად ვიგებთ მოქალქეების ჩივილს, რომ ცენტრალურმა თუ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისინი უყურადღებოდ დატოვა. თუმცა აჭარის მაუწყებლისგან კრიტიკა ხელისუფლების მიმართ ძირითადად „ხალხის მხრიდან“ ისმის და რაოდენობრივ შედეგებში დაფიქსირებული უარყოფითი ტონიც ძირითადად მთავრობის მიმართ მოქალქეების კრიტიკითაა განპირობებული.

უნდა აღნიშნოს, რომ, რაც უფრო მეტად მწვავდებოდა ეპიდვითარება აჭარაში, მით უფრო დადებითი გახდა მაუწყებლის ტონი აჭარის და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ და შემცირდა ლაპარაკი კრიზისსა და სირთულეებზე აჭარის ჯანდაცვის სისტემაში და აქცენტი გადავიდა, როგორც აჭარის, ისე ცენტრალური მთავრობის განცხადებებსა და მოქმედებებზე.

რეალურად ტელევიზიას ეპიდემია სიღრმისეულად არ გაუშუქებია და რეგიონში ამ თვალსაზრისით არსებული მძიმე პრობლემები არ უჩვენებია. არ უცდიათ, მოეძიებინათ რესპონდენტები, რომლებიც ილაპარაკებდნენ კრიზისზე, პაციენტები, რომელთათვისაც საავადმყოფოებში ადგილი ან სასუნთქი აპარატები არ აღმოჩნდა და სხვ. აქცენტი კეთდებოდა უმეტესად ეპიდემიოლოგების, აჭარის მთავრობისა და კლინიკების ხელმძღვანელთა განცხადებებზე, რომლებიც, როგორც წესი, ამბობდნენ იმას, რომ აჭარა კრიზისს მეტ-ნაკლები წარმატებით უმკლავდება, არის საკმარისი საწოლები და სხვ. ეს მაშინ, როცა სხვა მედიებიდან ვიგებდით, რომ აჭარის კლინიკებში არ იყო ადგილები კოვიდინფიცირებულთათვის, ან იყო, მაგრამ არ იყო საკმარისი სასუნთქი აპარატები და სხვ. „აჭარაში კოვიდმიმღები სტაციონარები წესრიგშია“. - ასე იყო დასათაურებული 23 სექტემბრის სიუჟეტი და ეს განცხადება მაუწყებელმა სწორედ მთავრობის წარმომადგენელებსა და ინფექციონისტებზე დაყრდნობით გააკეთა.

სამონიტორინგო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებაში მეტნაკლებად დაცული იყო მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება, თუმცა, რიგ შემთხვევებში, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს სარედაქციო პოლიტიკა ადგილობრივი ხელისუფლების და მმართველი პარტიის მიმართ მიკერძოებული იყო. მაგალითად, ,,ქართული ოცნების“ პირველი ოცეულის წარდგენის ღონისძიება მაუწყებელმა სრულად აჩვენა და 10 სექტემბერს მას 27 წუთი დაუთმო პირდაპირ ეთერში.

აჭარის ტელევიზიის ეთერში ხშირად ჰყავდათ მოწვეული სტუმრები, მათ შორის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებს წარმომადგენლები. ჟურნალისტები სტუმრებს, უმეტესად, არ უწევედნენ ოპონირებას და არ უსვამდნენ კრიტიკულ კითხვებს. 7 სექტემბერს გადაცემაში აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის ვრცელი ინტერვიუს დროს, მისთვის არ დაუსვამთ კრიტიკული კითხვები. სტუმარს მიეცა საშუალება, დადებით კონტექსტში წარმოეჩინა მთავრობის საქმიანობა და გაეკრიტიკებინა ოპოზიცია, მათ შორის, ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" მან „ნაციონალების კლასტერი" უწოდა.

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებაში რამდენჯერმე დაუბალანსებელი სიუჟეტებიც გავიდა. 15 სექტემბერს გასულ სიუჟეტში, რომელიც მიხეილ სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას შესაძლო მაჟორიტარობას მიეძღვნა, არ იყო წარმოდგენილი „ნაციონალური მოძრაობის" პოზიცია, თუმცა „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს ოპოზიციის გალანძღვის საშუალება მიეცათ. დაუბალანსებელი სიუჟეტი, ,,მოსამართლეთა არჩევის წესი შეიძლება გადაიხედოს" გავიდა 18 სექტემბერსაც, როდესაც მოსამართლეთა არჩევის წესის შეცვლასთან დაკავშირებით მხოლოდ მმართველი პარტიის წარმომადგენლის კომენტარებია მოცემული, როდესაც ეს თემა მუდმივი კრიტიკის საგანია ოპოზიციის და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

იმედი

რაოდენობრივი შედეგები

„იმედის" ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას, „ქრონიკას" 8 საათზე და „იმედის კვირას". „იმედზე" ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას" და მთავრობას დაეთმო და ყველაზე დადებითად მთავრობა გაშუქდა დათმობილი დროის 50 % -ით, „ქართული ოცნების" გაშუქების დადებითმა ტონმა 30 % შეადგინა . ყველაზე უარყოფითად გაშუქდა მიხეილ სააკაშვილი (76 %) და „ნაციონალური მოძრაობა" (67%).

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით მთავრობის დადებით ტონში გაშუქებამ 31 %-ით მოიმატა. ასევე მოიმატა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (23 %) და მიხეილ სააკაშვილის (2 %) უაყოფით ტონში გაშუქებამ.



შინაარსობრივი შედეგები

„იმედი“ ხელისუფლებისადმი მიკერძოებულ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. საინფორმაციო გადაცემებში მმართველი გუნდის აბსოლუტურად დადებითად წარმოჩენასთან ერთად იმედის ერთ-ერთი მიზანი ოპოზიციის მაქსიმალური დისკრედიტაციაა.

ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემის პათოსი თითქმის სრულად ემთხვევა „ქართული ოცნების“ და ხელისუფლების რიტორიკას. „ეს არის, მთავარი არის ბრძოლა ნაციონალური მოძრაობის უკან მობრუნებაზე, ეს არის არხის მისია“. -- ასე ხედავს ტელეკომპანიის დირექტორი, ნიკოლოზ ლალიაშვილი „იმედის“ მისიას. ამასთან, როგორც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული აუდიოჩანაწერებით ირკვევა, დირექტორი არა მხოლოდ ხელმძღვანელობს კომპანიის ადმინისტრაციულ მენეჯმენტს, არამედ პირდაპირაა ჩართული სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრაში და, ამავე დროს, ამ ჩართულობის წინაპირობაა მისი მოსაზრებები, რომ ბალანსი ცუდია, სარედაქციო დამოუკიდებლობა არ არსებობს, ჟურნალისტური საქმიანობა ომია კონკრეტული პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ და მეორე ძალის სასარგებლოდ. საყურადღებოა არხის დამოკიდებულება საკუთარი მაყურებლების მიმართ, რომ მაყურებელი უნდა „დაკრისტალდეს“ და მათ უნდა მიეწოდოს მხოლოდ მიკერძოებული ინფორმაცია.

მონიტორინგის პერიოდში არხის პრიორიტეტი იყო მმართველი ძალის დადებითად წარმოჩენა. „ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენის ცერემონიალი სრული დროით გადიოდა ეთერში. პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას გამოსვლას გაეროში 13 წუთი დაუთმეს, თეა წულუკიანის 8-წლიანი მუშაობის შემაჯამებელ ანგარიშს - 20 წუთი. „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს საინფორმაციო გადაცემაში მიეძღვნა

სიუჟეტების სერია, სადაც ჟურნალისტი პოზიტიურ ტონში ყვებოდა კანდიდატის შესახებ. სიუჟეტში მხოლოდ ამ სუბიექტის ან, რიგ შემთხვევებში, მომხრეთა სინქორონები იყო ჩართული. რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, მათი წინასაარჩევნო გზავნილები უმეტესად უცნობი დარჩა მაყურებლისთვის, რიგ შემთხვევაში კი მათ არასწორი ინფორმაციაც კი მიაწოდა ჟურნალისტმა.

„იმედი“ პირდაპირ ეთერს უთმობს და სრულად აშუქებს ქართული ოცნების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის, ასევე, მთავრობის მიერ სხვადასხვა ობიექტის გახსნის ღონისძიებებს. იგი დადებითად აშუქებს ინფრასტრუქტურულ და სხვა სახის პროექტებსაც.

სამონიტორინგო პერიოდში არაერთი სიუჟეტი მიეძღვნა სახელმწიფო პროგრამების ან ფონდი „ქართუს“ მიერ დაფინანსებულ ისეთ პროექტებს, როგორიცაა რაგბის ფედერაციისთვის გაწეული დახმარება, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მშენებლობა, აბასთუმნის დედათა მონასტრის აღდგენა და ახლის აშენება. გადაცემაში ასევე გავიდა სახელმწიფო პროგრამების „დანერგე მომავლისა“ და შეღავათიანი აგროკრედიტის ბენეფიციართა ისტორიები.

შესაბამისად, ჩანს, ტელევიზიის მიზანია, პოზიტიურად წარმოჩნდეს „ქართული ოცნება“ და მას ქულები დაეწეროს. უნდა აღინიშნოს, რომ საქველმოქმედო ფონდის რესურსის გათვალისწინებით, ასეთი შესაძლებლობა უპირატეს მდგომარეობაში აყენებს „ქართუს“ მფლობელს, ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ ყველა სხვა პარტიასთან შედარებით და არათანაბარ პირობებს უქმნის მათ.

„იმედი“ მგრძნობიარეა ბიძინა ივანიშვილის ან მისი ოჯახის იმიჯის შემლახავი ინფორმაციის მიმართ და კამპანიურ ბრძოლას უცხადებს დამრღვევ „სუბიექტებს“. ასეთი თემა იყო, მაგალითად, ,,მთავარი არხის” მფლობელის, ნიკა გვარამიას გამონათქვამი ივანიშვილის ოჯახზე: „მანია გრანდიოზას გასცდნენ, დაავადებული არიან „წმინდა ოჯახის“ სინდრომით“, რასაც საინფორმაციო გადაცემაში მოჰყვა არაერთი სიუჟეტი, სადაც ჟურნალისტი, პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები და პოლიტოლოგები ნიკა გვარამიას განცხადების უტრირებას აკეთებდნენ და მას და „ნაციონალურ მოძრაობას“ ოჯახის სიყვარულის, როგორც საერთო-ეროვნული ფასეულობის, შეურაცხყოფაში სდებდენენ ბრალს. „მთავარი ფეიკარხის გენერალური დირექტორი და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი იდეოლოგი საზოგადოების მიზანმიმართულად მოტყუებას და ადამიანების დისკრედიტაციის მცდელობას განაგრძობს. მან მორიგი მავნებლური ფეიკნიუსი ამჯერად ბერა ივანიშვილსა და ბიძინა ივანიშვილის ოჯახზე გაავრცელა. მთავარ ფეიკარხის დირექტორმა ივანიშვილების ოჯახის ფოტო ფეისბუქზე ფეიკკომენტარით გამოაქვეყნა და შემდეგი შინაარსის კომენტარი დაურთო: „... ამ ტექსტით წარადგენს სიუჟეტს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი და „მთავარ არხს“ უწოდებს „მთავარ ფეიკარხს“. „იმედი“ გვთავაზობს „ქართული ოცნების“ წევრების კომენტარებსაც, რომლებიც „მთავარ არხს“ და მის დირექტორს გმობენ.

„იმედი“ უკიდურესად ნეგატიურად აშუქებს მიხეილ სააკაშვილს. სააკაშვილის კრიტიკა და დისკრედიტაცია განსაკუთრებით მას შემდეგ დაიწყო, რაც 1-ელ სექტემბერს ვიდეოგზავნილი

„სააკაშვილის ბოდიში და აღიარება“ „იმედის“ ეთერში გავიდა . საშემოდგომო სესიის პირველ დღეს პარლამენტში „ქართული ოცნებისთვის“ მთავარი თემა მიხეილ სააკაშვილი და მისი ვიდეორგოლი იყო. ამაზე სიუჟეტი მოამზადა „იმედმაც“ და ხელისუფლების მსგავსად და მათი ნარატივის შესაბამისად, 6 წუთზე მეტი ექსპრეზიდენტის დაკნინებას დაუთმო. გარდა სააკაშვილის ვიდეოს მიმოხილვისა, რომლითაც ის საქართველოში დაბრუნების პირობას დებს, „იმედმა“ მმართველი პარტიის კომენტარებთან ერთად მაყურებელს ირაკლი ღარიბაშვილის ვრცელი, 57-წამიანი კომენტარი შესთავაზა, რომელშიც, სხვა ეპითეტებთან ერთად, თავდაცვის მინისტრმა სააკაშვილს „შეშლილი მანიაკი“ უწოდა. სამონიტორინგო პერიოდში სააკაშვილის შესახებ ხშირად გადიოდა სიუჟეტები: 8 სექტემბერი -- „სააკაშვილის ცრუ დაპირება“, 14 სექტემბერი - „სააკაშვილის უკრაინული კრახი“. წამყვანის წარდგენით, „უკრაინაში „ნამდვილი მიშა“ დაინახეს. „სააკაშვილის სიცრუის დეტექტორი“ უწოდეს მორიგ საგამოძიებო მასალას, სადაც რეფორმების საბჭოს ხელმძღვანელის საქმიანობის რეალური შედეგებია აღწერილი. ხმაური და არა საქმე. პირადი და არა ქვეყნის კეთილდღეობა. ასე ხასიათდება მოკლედ სააკაშვილის ქმედებები და შედეგები.“ 15 სექტემბერი - „სააკაშვილის პოლიტიკური თამაში ოჯახით“

„იმედზე“ ცალმხრივად გაშუქებული სიუჟეტების უმეტესობა „ნაციონალური მოძრაობის“ ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენას ემსახურებოდა, რიგ შემთხვევაში კი გვაქვს ხელისუფლების შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელების თავიდან არიდების მცდელობაც. უნდა ითქვას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ იმიჯის დაზიანება ხდება ნიკა გვარამიასა და ტელეკომპანია „მთავარის“ მიმართ კრიტიკული სიუჟეტების საშუალებითაც, სადაც ნიკა გვარამია „მიშას კლასტერად“ ხოლო „მთავარი“ კი „სატელიტ ტელეკომპანიად“ იქნა მოხსენიებული.

„ტვ იმედი“ კრიტიკულად არის განწყობილი ზოგადად ოპოზიციის მიმართ და ხელისუფლებასთან ერთად აკრიტიკებს ოპოზიციურ ერთობას. ოპოზიციის გეგმები -- „ოპოზიცია არ მალავს, რომ ქვეყანაში კრიზისის შესაქმნელად ემზადება. ირაკლი ოქრუაშვილის პირდაპირ ნათქვამს მისი პარტნიორები უარყოფენ. დესტრუქციული გეგმისგან განსხვავებით, ე.წ „ერთობაში“ არავინ მალავს, რომ კოალიციური მთავრობის აბსტრაქტული იდეა მაინც აქტიურად მუშავდება. თუმცა მოხერხდება თუ არა შეთანხმების მიღწევა ამჯერად მაინც, ამაში თავადაც არ არიან დარწმუნებული. იქამდე ისიც დასადგენია, როგორ იმუშავებს მემორანდუმი დარღვეული პირობების და პარტნიორებს შორის ნდობის დეფიციტის ფონზე”. - ამბობს „ქრონიკის“ წამყვანი.

სამონიტორინგო პერიოდში ასევე გამოვლინდა ყოფილი მაჟორიტარის, კახა ოქრიაშვილის იმიჯის დამაზანებელი სიუჟეტების მომზადების ტენდენცია. მაგალითად, „იმედის კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, „ვაჭრობა მანდატისთვის“, რომელშიც მისი პოლიტიკური გზა ნეგატიური თვალსაზრისით გაშუქდა და, ასევე, გავიდა არაერთი ცალმხრივად გაშუქებული სიუჟეტი მომხრეების მიერ მისი პარტიის დატოვების შესახებ.

მთავარი არხი

რაოდენობრივი შედეგები

„მთავარი არხის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 9 საათზე, „შაბათის მთავარს“ და „პოსტ ფაქტუმს“. ყველაზე მეტი დრო ამ არხის ეთერში „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და მისთვის დათმობილი დროის 70 % ნეგატიური იყო. „მთავარი არხი“ ყველაზე დადებითად მიხეილ სააკაშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას“ აშუქებდა. მიხეილ სააკაშვილის გაშუქების დადებითმა ტონმა 29 % შეადგინა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დადებითი ტონი კი 19 % პოზიტიური იყო.

მონიტორინგის პირველ საანგარიშო პერიოდთან შედარებით „მთავარ არხზე“ მმართველი პარტიის გაშუქების უარყოფითი ტონი თითქმის არ შეცვლილა, თუმცა 13 %-ით მოიმატა „ნაციონალური მოძრაობის“ დადებითმა ტონმა.



შინაარსობრივი შედეგები

„მთავარი არხი“ მკვეთრად უარყოფითად აშუქებს ხელისუფლებას და მმართველ პარტიას. არხის სარედაქციო პოლიტიკა მთავრობისა და „ქართული ოცნების“ პოლიტიკის კრიტიკის, რიგ შემთხვევებში კი მთლიანად პარტიისა და კონკრეტული ადამიანების

დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად ისმის კრიტიკული და ცინიკური ფრაზები, ზოგჯერ უხამსი გამონათქვამები ჟურნალისტების და წამყვანების მხრიდან „ქართული ოცნების“ და მისი წევრების მიმართ. ამასთან, „მთავარ არხზე“ თვალში საცემია „ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილისადმი მიკერძოება და კეთილგანწყობა. მათ გაცილებით დიდი დრო ეთმობათ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით. „მთავარი არხი“ მიხეილ სააკაშვილის თითქმის ყველა აქტივობას აშუქებს და თითქმის ყოველთვის პოზიტიურად. ეთერში გადაიცემა მიხეილ სააკაშვილის ვრცელი კომენტარები, ლაივ-ჩართვები, მისი გამოსვლები და შეხვედრები სხვა ქვეყნებში. სააკაშვილის ფიგურა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც პრემიერობის კანდიდატად დასახელდა. 16 სექტემბრიდან კი დაიწყო კამპანია „დაავალე მიშას“, სადაც თბილისსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებნი მიხეილ სააკაშვილს წინასაარჩევნოდ დავალებებს აძლევენ იმის მიხედვით, ვის რა აწუხებს. მთავარი არხი ამას თითქმის ყოველდღიურად აშუქებს და მოსახლეობის გზავნილებს გვამცნობს.

საინფორმაციო გამოშვებაში პრაქტიკულად ვერ ნახავთ ოდნავ მაინც კრიტიკულ სიუჟეტს „ნაციონალური მოძრაობის“ ან მიხეილ სააკაშილის მიმართ. პარტიის და მისი ლიდერის კრიტიკას რესპონდენტების კომენტარებში თუ შეხვდებით.

მთავარი არხის ეთერში გადის ექსკლუზიური, სიღრმისეული რეპორტაჟები განათლების სისტემის პრობლემებზე, ეკონომიკურ კოლაფსზე, ჯანდაცვის სფეროს კრიზისზე, კორუფციაზე, დანგრეულ ინფრასტრუქტურაზე, შეჩერებულ პროექტებზე - ეს არის თემები, რაც ყოველდღიურ რეჟიმში შუქდება. „,მთავარი“, მაყურებელს ხშირად სთავაზობს ექსკლუზიურ სიუჟეტებს მაღალი რანგის საჯარო მოხელეების დამალული ქონების შესახებ; არხზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სავარაუდო კორუფციული გარიგებებისა და ტენდერების თემას, რომელშიც მთავრობის წევრები ან მთავრობასთან აფილირებული პირები მონაწილეობენ; ხელისუფლების კრიტიკას, რაც მედიის ძირითადი დანიშნულებაა, ხშირად თან ახლავს ეთიკური დარღვევის ფაქტებიც. მმართველი პარტიის მიმართ გაჟღერებული ბრალდებების დროს ხშირად ინფორმაცია დაუბალანსებელია. 25 სექტემბერს საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მიერ წამოწყებული კამპანიის „დაავალე მიშას“ შესახებ. სიუჟეტი ეხებოდა იმას, თუ რას ითხოვენ სამცხე-ჯავახეთის სოფლებში მიხეილ სააკაშვილისგან და ეს მოთხოვნები და პრობლემები ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პრობლემებს - უწყლობა, უგზოობა და ა.შ. სიუჟეტი შეიცავდა ბრალდებებს, რომ, მაგალითად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ პრობლემების მოსაგვარებლად გამოყოფილი თანხები გაფლანგა, თუმცა ამ ბრალდებაზე არც კონკრეტული დოკუმენტები და წყაროები გვინახავს (მაგ,. გამოცხადებული ტენდერები, ვერ შესრულებული ან ხარვეზებით შესრულებული პროექტები და ა.შ.) და ვერც ადგილობრივი თვითმმართველობის წევრების კომენტარები მოვისმინეთ. სამაგიეროდ, სიუჟეტში იყო ენმ-ს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც ამბობდა, რომ ყველა ამ პრობლემას მთავრობის შეცვლა მოაგვარებს.

5 სექტმბერს „მთავრ არხზე“ გავიდა სიუჟეტი სად არის ლავასოღლი. სიუჟეტი მიეძღვნა

ე.წ. „კანონიერი“ ქურდის ლავასოღლის ბელარუსიდან საქართველოში საპრეზიდენტო თვითმფრინავით სავარაუდო ჩამოყვანის ამბავს. „ვარაუდი ლავასოღლის საქართველოში ჩამოყვანის შესახებ 16 აგვისტოს მინსკიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შესრულებულმა საგანგებო რეისმა გაამყარა. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, 16 აგვისტოს მინსკში ერთი საათით ჩასულმა საპრეზიდენტო თვითმფრინვმა ე.წ. „კანონიერი ქურდი“, საქართველოში ჩუმად ჩამოიყვანა.“ -- ეს ინფორმაცია არ იყო საკმარისად გადამოწმებული და დადასტურებული. არ ჩანდა სიუჟეტში არც ერთი სანდო წყარო ან მტკიცებულება, რაც ამბის რეალურობას დაამტკიცებდა. თუმცა ამას ჟურნალისტითვის ხელი არ შეუშლია, რომ სიუჟეტი ასეთი დასკვნით დაესრულებინა: ,,სავარაუდოდ, ბიძინა ივანიშვილს უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომელ ქალაქს რომელ კრიმინალს ჩააბარებს“.

„მთავარი არხის“ ჟურნალისტები მმართველი ძალის მიმართ ცინიკურ, დამცინავ, ხშირად შეურაცხმყოფელ ლექსიკას იყენებენ. მონიტორინგის პირველ ეტაპთან შედარებით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად მთავარ არხზე გახშირდა ჟურნალისტების მხრიდან არანარომატიული ლექსიკის, უხამსი გამონათქვამების რაოდენობაც. საინფორმაციო გამოშვებებში ზოგჯერ ისმის ამ სახის რეპლიკები:

„პუტინის დადანაშაულებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საამისოდ ჩვენს ხელისუფლებას არც საკმარისი ზომის და სიმყარის კვერცხები აქვს და არც უკანალი“. - განაცხადა გიორგი გაბუნიამ 6 სექტემბრის „პოსტ-ფაქტუმში“. ,,ჩემი კიწი, მოი რობიკ, ჩვენი თემურიკო, აი, ჩემი კვერცხებით რომ აჩიროვანა, აკალდოვანა...“ ჟურნალისტის ეს ტექსტი უკვე 27 სექტემბრის „პოსტ-ფაქტუმში“ გავიდა. სიუჟეტი „ბიძინას ღიმილი“ ფაქტობრივად იყო ავტორის ცინიკური მონოლოგი, თითქოსდა ბიძინა ივანიშვილის პირით მეტყველი, გადაფარული შესაბამისი კადრებითა და მისი სამიზნე რესპონდენტების სხვადასხვა რეპლიკებით. მთელი სიუჟეტი უაღრესად დისკრედიტაციულად წარმოაჩენდა ბიძინა ივანიშვილს. დამცინავი და ირონიული იყო, როგორც წამყვანის ტექსტი, ისე ავტორის მონოლოგიც: „იმ ბანერებზე, რომლებზეც ვერ მხედავთ, მაინც მე ვარ. ეს ტალავერიანი ქოჩორაც [კადრში ჩანს ბანერი ირაკლი კობახიძის გამოსახულებით] მე ვარ, ეს ჩეკისტური, სულში ჩამწვდომი მზერაც ჩემია [კადრში ჩანს ბანერი გახარიას გამოსახულებით], ამ მოჭუტული თვალითაც მე გაკვირდებით [კადრში ჩანს ბანერი ვოლსკის გამოსახულებით], სხვა სახელებიცა და გვარებიც, არაფერს რომ არ გეუბნებათ, ასე იკითხება - ბორის, ბიძინა ივანიშვილი, 41. ..... განა ნარცისი ვარ, განა გამოჩენა მიყვარს, რომ შემეძლოს, სულ გიგანტური ლილიოდენდრონის ჩეროში ვიჯდებოდი და კვირაში ერთხელ ჩემს ბიჭთან ვიკუნტრუშებდი... მაგრამ ვინ გაცდის კუნტრუშსა და კაი ცხოვრებას, ჩირგვში ჯდომით ფულის შოვნა ვისწავლე, ხმების შოვნას კი დროდადრო მაინც გამოჩენა სჭირდება“.

პოსტ-ფაქტუმის წამყვანმა 27 სექტემბერს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი „მადამ ლობიოდ“ მოიხსენია. სოხუმის დაცემის დღეს „მთავარმა არხმა“ მოამზადა სიუჟეტი დევნილ წარმატებულ ადამიანებზე და ამ სიუჟეტის შესავალში წამყვანმა ახსენა, რომ ამ დღეს სალომე ზურაბიშვილი გმირთა მემორიალთან არ მივიდა. წარდგენისას მან პრეზიდენტის მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზები გამოიყენა: „მაგრამ მე მაინტერესებს, რას განიცდის ქვეყნის

ვითომ მთავარსარდალი, საქართველოს პრეზიდენტად წოდებული სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც დღეს გმირთა მემორიალთან მისვლითაც კი არ შეიწუხა თავი. იქნებ 2008 წლის ომის მსგავსად, აფხაზეთის ომშიც საქართველოს ადანაშაულებს, ან იქ დაღუპულ ქართველ ჯარისკაცებს გმირებად კი არა, დამნაშავეებად თვლის. არ გამიკვირდება მისგან... "

,,უკვე მერამდენედ გვიმტკიცებს მადამ ლობიო, რომ, როგორც პრეზიდენტი, ის არის სირცხვილი მთელი ქვეყნისთვის და, როგორც მთავარსარდალი, ის არის შეურაცხყოფა ქართული ჯარისთვის. დავანებოთ თავი საქართველოს ყველაზე სამარცხვინო პრეზიდენტს, მე ვიტყოდი და ვისაუბროთ ღირსეულ ადამიანებზე".

ირონიით და სარკაზმით გაჯერებული სიუჟეტი, „მომავლის - საჩხერის მოდელი" გავიდა მთავარი არხის ეთერში 26 სექტემბერს და 4 ოქტომბერს - „ფიზიკა-მათემატიკის რეპეტიტორს როგორ არ უნდა დაუჯერო, როცა არითმეტიკაზე საუბრობს და რუსის ოლიგარქს როგორ არ უნდა დაუჯერო, როცა მოპარულ ფულზე საუბრობს". -- ამბობს ჟურნალისტი.

დისკრედიტაციული და უხამსი იყო ბექა ყორშიას სიუჟეტი „ერთგულების 4 წელი", რომელიც პარლამენტის მუშაობის შეჯამებას ეხებოდა. ამ სიუჟეტშიც გამოყენებული იყო კადრები კინოფილმებიდან, რომ სასაცილოდ წარმოეჩინა კონკრეტული პერსონები. ასევე, ირაკლი კობახიძესთან ინტერვიუს დროს მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა სავარაუდო უხამსობას. მან კობახიძეს ჰკითხა, რას აკეთებდა პარლამენტი 4 წლის განმავლობაში, კობახიძემ კითხვა შეუბრუნა, რაზეც ჟურნალისტმა უპასუხა, ვიცი, რას აკეთებდი, მაგრამ ამას აქ ვერ გავიმეორებო.

პალიტრა ტვ

რაოდენობრივი შედეგები

პალიტრა ტვ"-ს ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 20 საათზე. სამონიტორინგო პერიოდში „პალიტრა ტვ"-მ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას დაუთმო და ყველაზე პოზიტიურად „ქართული ოცნება" გააშუქა - დათმობლი დროის 47 % დადებითი იყო. ყველზე ნეგატიურად არხი ადგილობრივ მთავრობას წარმოაჩენდა 48 % უარყოფითი ტონით.

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, „პალიტრა ტვ"-ზე „ქართული ოცნების" დადებითმა ტონმა მოიმატა და 5 %-დან 47 %-მდე გაიზარდა.



შინაარსობრივი შედეგები

„პალიტრა ტვ“-ს მთავარი საინფორმაციო გამოშვება, ძირითადად, შემოიფარგლება მიმდინარე ახალი ამბების კოლაჟის სახით გაშუქებით და არ ცდილობს, მაყურებელს მიაწოდოს სიღრმისეული ინფორმაცია პარტიების საარჩევნო პროგრამების, იდეოლოგიების და, ასევე, სხვადასხვა პრობლემური საკითხების შესახებ. საინფორმაციო გამოშვებაში არ იყენებენ არანორმატიულ ლექსიკას, ჟურნალისტის ტექსტები ძირითადად მშრალია და არ იკვეთება ვინმეს მიმართ მიკერძოება დადებთი ან უარყოფითი თვალსაზრისით. ეს საინფორმაციო გამოშვება არ ცდილობს, მაყურებელს მიაწოდოს მრავალმხრივი მოსაზრებები ამბის შესახებ, ან აწარმოოს ფაქტების სიღრმისეული მოკვლევა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა, არის დაუბალანსებელი ჟურნალისტური პროდუქტის მიწოდება მაყურებლისთვის. ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკოსების ან თანამდებობის პირების მხრიდან სხვა პოლიტიკოსების ან თანამდებობის პირების მიმართ ისმის ბრალდებები და არ ჩანს, რომ ჟურნალისტი შეეცადა, მოეპოვებინა ბრალდების ადრესატების პასუხი, ან თავად მოეძიებინა ისეთი ინფორმაცია, რაც ამ ბრალდებებს ან დაადასტურებდა, ან გააქარწყლებდა. მაგალითად, დაუბალანსებელი მასალა გავიდა 8 სექტემბერს, სადაც მამუკა მდინარაძე აფასებს მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, აკრიტიკებს მას. თუმცა მიხეილ სააკაშვილმა რა თქვა, ეს მოცემული არ არის. ასევე დაუბალანსებელია 9 სექტმბერს გასული სიუჟეტი, სადაც „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენელი უკანონოდ დაჯარიმებაში ადანაშაულებს მუნიციპალურ ინსპექციას. გარდა იმისა, რომ სიუჟეტი ფაქტებით არ არის გამყარებელი, დაუბალანსებელია და, რეალურად, მაყურებელი ვერ იგებს, რას ეხება დავა.

11 სექტემბერს პალიტრა ტვ-ს ეთერში გაშუქდა პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის გამოხმაურება სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის შესახებ, თუმცა

ჟურნალისტი არ აწვდის მაყურებელს ინფორმაციას ამ ანგარიშზე და მხოლოდ არჩილ თალაკვაძის შეფასების მიწოდებით შემოიფარგლება. სიუჟეტი დაუბალანსებელია. ასევე, ცალმხრივი ბრალდებებით გავიდა 15 სექტემბერს მასალა ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ოთარ კახიძის ბრიფინგიდან, სადაც მან ქუთაისის მერია კორუფციაში დაადანაშაულა. თუმცა არ არის საპასუხო განცხადება.

16 სექტემბერს „პალიტრა ტვ"-ს ეთერში „ლელო" მათი კანდიდატის თვალთვალსა და შანტაჟზე ლაპარაკობს და ამაში ,,ქართულ ოცნებას" ადანაშაულებს. ბრალდების ადრესატს არ ჰქონია საშუალება, ამ ბრალდებისთვის ეპასუხა.

მონიტორინგის პერიოდში, ასევე, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც „პალიტრა" მმართველი გუნდის აქტივობას აშუქებს ერთ სტილში, ერთგვარი შაბლონური მიდგომით. მაგალითად, 21 სექტემბერს გააშუქეს „ქართული ოცნების" ლიდერების მიერ რაჭა-ზემო იმერეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის მონახულების ფაქტი. სიუჟეტი ცალსახად საარჩევნო პიარის ნაწილია, რადგან მას არანაირი საინფორმაციო დამატებითი ღირებულება არ გააჩნია. ეს სიუჟეტი წინ უძღოდა ამ რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენას. ამგვარივე მიდგომა ჰქონდათ 19 სექტემბერს სამტრედიაში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენისას. მაშინ „ოცნების" ლიდერებმა, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენის შემდეგ სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობა დაათვალიერეს, რაც ზუსტად იმავე წესით გააშუქა „პალიტრამ".

„პალიტრა ტვ" მონიტორნგის პერიოდში დიდ დროს უთმობს მმართველი გუნდის წარამომადგენლების აქტივობის გაშუქებას. 1-ელ ოქტომბერს, „ქართული ოცნების" პროგრამის პრეზენტაციიდან პირდაპირი ჩართვა 36 წუთს გაგრძელდა.

მაესტრო

რაოდენობრივი შედეგები

„მაესტროს" ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 9 საათზე. „მაესტროს" ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართული ოცნების" გაშუქებას დაეთმო. ყველაზე დადებითად, მთავრობა წარმოჩნდა - მისთვის დათმობილი დროის 14% პოზიტიური იყო, ყველაზე უარყოფითად - მიხეილ სააკაშვილი, მისთვის დათმობილი დროის 58 % ნეგატიური იყო.



შინაარსობრივი შედეგები

„მაესტრო“ საინფორმაციო გამოშვებაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამბებს ძირითადად ნეიტრალურად აშუქებს და ბალანსიც მეტ-ნაკლებად დაცულია. საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის არ გვხვდება სიღრმისეული, ექსკლუზიური მასალები. „მაესტროზე“ შეიმჩნევა მმართველი პარტიისა და მთავრობის პოზიტიურად წარმოჩენის მცდელობა. არხზე პოზიტიურად შუქდება სამთავრობო გადაწყვეტილებები, ინიციატივები და სახელმწიფო პროგრამები. იგი, ასევე, ცდილობს მთავრობის პოზიტიურად წარმოჩენას ისეთი თემებით, როგორიცაა, მაგალითად, „ეკონომიკის გაჯანსაღება“, „პანდემიის წარმატებულად დამარცხება“. 8 სექტემბერს მაესტროს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „პანდემია და უცხოური ინვესტიციების ზრდის მაჩვენებელი“. სიუჟეტი, საქართველოში უცხოური ინვესტიციების ზრდას ეხებოდა. „გლობალური პანდემიითა და ვირუსის გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური გამოწვევების მიუხედავად, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 2020 წლის მეორე კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაზრდილია. ფაქტი დღეს პრემიერმინისტრის მრჩეველმა, ბექა ლილუაშვილმა დაადასტურა. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა გაეროს პროგნოზის მიხედვით წელს გლობალურად შემცირებულია კაპიტალის ნაკადები და მოსალოდნელია ინვესტიციების 40%-იანი კლება“, - ასე წარადგინა სიუჟეტი წამყვანმა, რის შემდეგაც მოვისმინეთ ეკონომიკის მინისტრის, ნათია თურნავას კომენტარი, რომ ინვესტორებმა საქართველოში ჩადეს ფული და ის მოგება, რომელიც ნახეს, უკან კი არ გაიტანეს, ისევ საქართველოში დააბანდეს. ეს კი ნიშნავს, რომ აშშ-ს, გაერთიანებულ სამეფოს, ნიდერლანდებს და დასავლეთის სხვა ქვეყნებს სჯერათ საქართველოს ეკონომიკის და ქვეყნის ეკონომიკური გუნდის წარმატებისა.

წინასაარჩევნო დაპირისპირებებისა და გამწვავებული სიტუაციის ფონზე ზოგჯერ წამყვანების მიკერძოებულ ტექსტებსა და დასკვნებსაც ვხვდებთ. მაგალითად, 29 სექტემბერს სიუჟეტში, რომელიც წინასაარჩევნო პროვოკაციებს ეძღვნებოდა, წამყვანი ამბობს:

„მმართველი პარტია ნაცმოძრაობას პროვოკაციის მოწყობაში ადანაშაულებს, ნაციონალები ბრალდებებს უარყოფენ, თუმცა ფაქტია, რომ ყველა დაპირისპირების მთავარი გმირები სწორედ მიხეილ სააკაშვილის პარტიის წევრები არიან“.

30 სექტემბერს, მარნეულში მომხდარი დაპირისპირების შესახებ სიუჟეტში წამყვანისგან შემდეგ ტექსტს ვისმენთ: „ქართული ოცნება“ კი მიხეილ სააკაშვილის მიმდევრებს კარგად ორგანიზებულ პროვოკაციებში ამხელს“.

ყველაზე კრიტიკულად „მაესტრო“ საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის აქტივობებს აშუქებს. ამასთან, თუკი სხვა შემთხვევებში არხის ჟურნალისტები არ გამოირჩევიან ირონიული და ცინიკური ფრაზებით, ასე არ ხდება, როცა საქმე მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ თემებს ეხება.

გზავნილები უკრაინიდან - 8 სექტემბერს „მაესტრომ“ მოამზადა სიუჟეტი მიხეილ სააკაშვილის იმ ვიდეომიმართვის შესახებ, რომელშიც ექსპრეზიდენტი დაბრუნებაზე ლაპარაკობს. სიუჟეტში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მასალის ავტორს ამ დეტალზე აქცენტირება სურდა. „უკრაინიდან, უკრაინული ელემენტების ფონზე, უკრაინის მოქალაქემ საქართველოს მოსახლეობას მიმართა და თქვა, რომ მზად არის, პრემიერმინისტრობა ორი წლით იტვირთოს“- ასე დაიწყო სიუჟეტის ტექსტი მისმა ავტორმა.

განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმო „მაესტრომ“ ,,ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მიერ იპოდრომის ტერიტორიის ქალაქისთვის დაბრუნების თემას. ზედიზედ ორი დღის განმავლობაში მზადდებოდა ვრცელი სიუჟეტები. ერთი ტერიტორიის გადმოცემას და ამ ამბის მნიშვნელობას შეეხებოდა, მეორე კი - პარკში დაგეგმილ სამუშაოებსა და რეაბილიტაციის პროექტს.

5 ოქტომბერის სიუჟეტში „საჩუქარი თბილისელებს - ფონდმა „ქართუმ“ თბილისის მერიას იპოდრომის ყოფილი ტერიტორია, 36 ჰექტარი ფართობი, უსასყიდლოდ გადასცა“ -- აღნიშნულია, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებს თავად ფონდი „ქართუ“ დააფინანსებს.

რამდენიმე წამში იმავეს იმეორებს ჟურნალისტი ჩართვაში, რომ ეს ყველაფერი ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით გაკეთდება. ამის შემდეგ კი სიუჟეტში, ჟურნალისტის ტექსტში იგივე მეორდება.

„36 ჰექტარი ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ ყოფილი იპოდრომის ტერიტორია კერძო მესაკუთრეებისგან გამოისყიდა და თბილისის მერიას უსასყიდლოდ გადასცა“. - ამ ტექსტს რამდენჯერმე ვისმენთ. მას მოჰყვება „ქართული ოცნების“ წევრების შეფასებები და ქება, რომელიც პირადად ივანიშვილს ეძღვნება:

კახა კალაძე: „იპოდრომის ტერიტორიის გადარჩენაში ფასდაუდებელია ფონდი „ქართუსა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილის წვლილი, რომელმაც აღნიშნული სივრცე გამოისყიდა, დღეს კი სრულიად უსასყიდლოდ ქართველ ხალხს, თბილისსა და თბილისელებს გადასცემს

“. 7-წუთიან სიუჟეტში ძირითადად ივანიშვილის და მისი ოჯახის ქექბა-დიდება გაისმის. ოპოზიციის კრიტიკული კომენატარები სულ 30 წამს გრძელდება. ჟურნალისტი საერთოდ არ ახსენებს იმ ამბავს, რომ ეს წინასაარჩევნოდ მოხდა და რომ, შესაძლოა, ამას ამომრჩევლის მოსყიდვის ელფერი ჰქონდეს. „ცენტრალური პარკი - „ქართუს“ საჩუქარი თბილსს“ - ასეთი წარწერა მთელი სიუჟეტის განმავლობაში ჩანს ეკრანზე.

ბიძინა ივანიშვილის მიერ მრავალმილიონიანი ტერიტორიის თბილისისთვის გადაცემის თემა 6 ოქტომბერსაც გაგრძელდა.

რუსთავი 2

რაოდენობრივი შედეგები

„რუსთავი 2“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ 9-საათიან „კურიერს“. „რუსთავი 2“-ის ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და „ქართული ოცნება“ გაშუქდა - ყველაზე დადებითად 20 %. ყველაზე უარყოფითად - მიხეილ სააკაშვილი და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოჩნდა. მიხეილ სააკაშვილისთვის დათმობილი დროის 59 % უარყოფითი იყო.

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, „რუსთავი 2“-ზე „ქართული ოცნების“ გაშუქების დადებითი ტონი 8 %-დან 20 %-მდე გაიზარდა, ხოლო ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში გაშუქების უარყოფითი ტონის ზრდა დაფიქსირდა 12 % -დან 19 %-მდე. მონიტორინგის პირველ პერიოდში ,,რუსთავი 2-ზე“ ყველაზე უარყოფითად „პატრიოტთა ალიანსი“ გაშუქდა.



შინაარსობრივი შედეგები

„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება ძირითადად ნეიტრალურად, ეთიკური ნორმების დაცვით აშუქებდა მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს. თუმცა მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, არხზე მმართველი პარტიის და ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულება მეტად გამოიკვეთა. „რუსთავი 2“-ზე თითქმის არ ისმის კრიტიკული ტონი ხელისუფლების მიმართ.

საინფორმაციო გამოშვებებში უფრო მეტი დროა ეთმობა მმართველ პარტიას, მის წინასაარჩევნო აქტივობებს. 16 წუთი დაეთმო 10 სექტემბერს „ჯურიერში“ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ოცეულის წარდგენის ცერემონიალს. „რუსთავი 2“ პოზიტიურად წარმოაჩენდა ხელისუფლებას კოვიდ 19-ით გამოწვეულ კრიზისთან ბრძოლაში. „ყველა აცხადებს, რომ კორონავირუსის ახალ შემოტევას ჯანდაცვის სისტემა, ისევე, როგორც მთელი ქვეყანა, ბევრად უფრო მომზადებული ხვდება“ -- ასეთი იყო წამყვანის ტექსტი სიუჟეტში, რომელიც საქართველოს „მწვანე ზონის“ სტატუსის დაკარგვას (31:30) მიეძღვნა. დადებითი ტონი შეიმჩნევა მთავრობის სხვა ღონისძიებების გაშუქების დროსაც. მაგალითად, იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა გახსნა ნოტარიუსთა პალატის ახალი, თანამედროვე ოფისი, რომელსაც მთავრობის სხვა წევრები და პრემიერიც დაესწრნენ 9 სექტემბერს. „რუსთავი 2“-ის ეთერში გაშუქდა, ასევე, ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობის დასრულება ახალქალქში, რომელიც თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა.

30 სექტემბერს გავიდა სიუჟეტი მარნეულში მომხდარი ინციდენტის შესახებ. თბილისი-მარნეულის გზაზე „ქართული ოცნების“ საარჩევნო სპეციალისტს სცემეს. მმართველი პარტია თავიანთი წარმომადგენლის, თემურ შუბითიძის ცემაში ოპონენტებს ადანაშაულებს. მედიისთვის შესაძლო დამნაშავეების შესახებ არაფერი იყო ცნობილი 30 სექტემბერს, შესაბამისად, ნათია ლაზაშვილმა შესავალ ტექსტში გაიმეორა ხელისუფლების ვერსია და თავდასხმაში ეჭვმიტანილებად „პარტიული აქტივისტები“ გამოიყვანა. „ქვემო ქართლიდან ესტაფეტა დღეს პარტიულმა აქტივისტებმა თბილისს გადასცეს. სწორედ თბილისი-მარნეულის გზაზე მოხდა ახალი ძალადობა, რომლის დროსაც ერთ პირს სამი ადამიანი გაუსწორდა. „ქართული ოცნების“ მარნეულის შტაბის წარმომადგენელს უცნობი პირები ჯერ ავტომობილით დაედევნნენ, შემდეგ დაეჯახნენ და სასტიკად სცემეს“. - გვამცნობს წამყვანი.

5 ოქტომბერს ეთერში გავიდა მორიგი სიუჟეტი კარტოგრაფების საქმეზე, რომელიც პროკურატურის ვერსიას ამყარებს. ნაკლებად არის წარმოჩენილი კითხვები, რომელიც ამ საქმის მიმართ აქვს სამოქალაქო საზოგადოებას. წარმოჩენილია მხოლოდ ისეთი პოზიციები, რომლებიც პროკურატურის ვერსიას დამაჯერებლობას სძენს.

„რატომ არ იხელმძღვანელა დემარკაციის კომისიამ 1938 წლის რუკით? კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომლის ბინაშიც და სამუშაო კაბინეტში რამდენიმე დღინ წინ ჩხრეკა ჩატარდა, დღეს განმარტებებს აკეთებს. რატომ მოხდა ძველი, 82 წლის წინანდელი კარტოგრაფიული მასალის ჩანაცვლება სხვა რუკით? ივერი მელაშვილის არგუმენტები რუკის მასშტაბებს უკავშირდება. საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის სხვა რუკით ჩანაცვლებას კომისიის წევრი რუკის მასშტაბის სიმცირით ხსნის. არადა სწორედ 1938 წლის

რუკაზეა მოქცეული დავითგარეჯის სრული ტერიტორია საქართველოს საზღვრებში.“ - ეს არის წამყვანის შესავალი, სადაც თითქმის მტკიცებით ფორმაში გვეუბნება, რომ რუკა, რომლის არგამოყენებასაც ედავებიან, სწორედ ის რუკაა, სადაც დავითგარეჯა საქრთველოს ტერიტორიაზეა მოქცეული. რუკის სამართლებრივი და კარტოგრაფიული ღირებულება დღემდე დაუდგენელია და სწორედ ეს არის დავის მთავარი საგანი. ის არ არის ხელმოწერილი ოფიციალურად სახელმწიფოების მიერ და სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ეს რუკა „უმნიშვნელოვანესი“ საქართველოსთვის.

ამავე სიუჟეტში გვთავაზობენ დავითგარეჯაში მოღვაწე სასულიერო პირის, კირიონის სინქრონს, რომელსაც ჟურნალისტი ასე ახასიათებს: „1938 წლის, მაგრამ ზოგადი რუკის გამოყენებაში დანაშაულის ნიშნებს ხედავენ სასულიერო პირები, ვინც გარეჯში მსახურობს და სადავო ტერიტორიებზე ამომწურავ ინფორმაციას ფლობს“. აქაც ჩანს ჟურნალისტის მიკერძოებულობა - ის ცდილობს, მაყურებელი დაარწმუნოს, რომ დავითგარეჯაში მყოფი სასულიერო პირების მიერ ჟურნალისტებისთვის მიწოდებული ინფორმაცია სარწმუნოა, რადგან ისინი სადავო ტერიტორიებზე „ამომწურავ ინფორმაციას ფლობენ“.

მონიტორნგის პერიოდში „რუსთავი 2“ უარყოფითი ტონით აშუქებდა ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის აქტივობებს. მის მიმართ ჟურნალისტების ირონიული, ოდნავ ცინიკური ტექსტები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიხეილ სააკაშვილის პრემიერ-მინისტრად დასახელების შემდეგ გახშირდა. „ნაციონალური მოძრაობის“ უცხო ქვეყნის კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის მორიგი ბოდიში და ახალი დაპირება. მსჯავრდებული ყოფილი პრეზიდენტი ამომრჩევლისგან მის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორების შანსს ითხოვს, პრეზიდენტი მთავრობის მეთაურის პოსტისკენ ილტვის და პირობას დებს, რომ მთავრობის ადმინისტრაციაში მხოლოდ ორ წელს იმუშავებს. რატომ გააქტიურდა სააკაშვილი, რომელიც არა მარტო მსჯავრდებული და ძებნილია, არამედ მან საკუთარი ნებით თქვა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე. მით უმეტეს, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი სააკაშვილს საკუთარ ლიდერად არ აღიარებს და მმართველი პარტიისთვის კი ის სისხლის სამართლის დამნაშავეა, რომელმაც პასუხი უნდა აგოს“. -- ამ შესავალი ტექსტით დაწყო წაყვანმა სიუჟეტი „ისევ ბოდიში და დაპირება“, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ეძღვნებოდა 8 სექტემბერს. კრიტიკული სიუჟეტები სააკაშვილის სამომავლო გეგმებზე „რუსთავი 2“-ზე შემდგომაც გაგრძელდა, 21 და 22 სექტმბერს, -- „სააკაშვილის გზავნილი ოპოზიციას“ და „უარი პრემიერობის კანდიდატს“.

ტვ პირველი

რაოდენობრივი შედეგები

„ტვ პირველის“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „პირველებს“ და “ნოდარ მელაძის შაბათს “აკვირდებოდნენ. ამ არხზე ყველაზე ბევრჯერ „ქართული ოცნება“ გაშუქდა, ყველაზე უარყოფითი გაშუქება კი „პატრიოტთა ალიანსს“ ჰქონდა - 70 %. მონიტორინგის წინა საანგარიშო პერიდთან შედარებით „ქართული ოცნების“ და ხელისფლების უარყოფით ტონში გაშუქებამ იკლო, ხოლო „პატრიოტთა ალიანსის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (6%-ით) და „ევროპული საქართველოს“ ნეგატიურმა გაშუქებამ (15 %-ით) მოიმატა.



შინაარსობრივი შედეგები

„ტვ პირველი“ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული არხია და მისი საინფორმაციო გამოშვებები ექსკლუზიური, სიღრმისეული რეპორტაჟებით გამოირჩევა. საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად შუქდება თემები თანამდებობის პირთა კორუფციის, ადამიანის უფლებების დარღვევისა და ნეპოტიზმის შესახებ. მმართველი პარტია და მისი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ძირითადად უარყოფითადაა წარმოჩენილი.ზოგადად, „ტვ პირველს“ ახასიათებს წამყვანებისა და ჟურნალისტების მხრიდან სუბიექტური ტონი და შეფასებები, რაც ტენდენციურობის შთაბეჭდილებას უქმნის მაყურებელს.

ამასთან, „ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვებაში, ამა თუ იმ თემის გაშუქებისას, ამბების თხრობისას, ავტორები ცდილობენ, ყველაფერი უტყუარ ჭეშმარიტებად

წარმოაჩინონ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში გავრცელებული ინფორმაცია დაუსაბუთებელი და გადაუმოწმებელია. მაგალითად, 8 სექტემბერს ნორიოს ტყეში გარდაცვლილი სამხედროს საქმე - სიუჟეტში ლაპარაკობს გარდაცვლილი ჯარისკაცის დედა, რომელიც ასახელებს მისი შვილის მკვლელობასთან დაკავშირებულ სავარაუდო პირებს თავდაცვის სამინისტროდან, თუმცა, მაგალითად, უწყების მხრიდან საპასუხო კომენტარები სიუჟეტში არ ჩანს.

დაუსაბუთებელია სიუჟეტი, რომელიც 15 სექტემბერს „ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა. ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ იყენებს „ქართული ოცნება“ ბავშვებს წინასაარჩევნო პროპაგანდისთვის, რაც გადაცემის წამყვანებმა შესავალ სიტყვაში, ისევე, როგორც მის ანონსში სიუჟეტის ავტორმა, გარკვეულწილად მტკიცებით ფორმაში აღნიშნეს. იქვე ამბობენ იმასაც, რომ „სკანდალური ვიდეო სოციალური ქსელიდან ცოტა ხნის წინ გაქრა“ და რომ ეს „მას შემდეგ მოხდა, რაც მედიაში კადრები გავრცელდა“. ისინი სვამენ კითხვას, „ვინ გადაწყვიტა ბავშვების წინასაარჩევნო პროპაგანდაში ჩართვა და ამ ფორმით „ქართული ოცნების“ გულის მოგება“. სიუჟეტში ნაჩვენებია ქობულეთელი ქალი, რომელიც, წამყვანის თქმით, ამბობს, რომ „ივანიშვილის პარტიის მხარდამჭერია და ინიციატივა მხოლოდ მას ეკუთვნის“. სიუჟეტში ვიდეორგოლის შესახებ კითხვებს უსვამენ მმართველი გუნდის ადგილობრივ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებსაც, რომლებიც ასევე უარყოფენ ვიდეოს კავშირს „ოცნებასთან“. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტი თავის შეფასებებში ამბობს, რომ „საკუთარი პოლიტიკური მომავლის გადასარჩენად „ქართული ოცნება“ ამჯერად მცირეწლოვნებს იყენებს - ბავშვები „ქართული ოცნების“ მაისურებით, კეპებითა და მოწოდებებით გადამწყვეტი არჩევნების წინ კამპანიაში მმართველმა გუნდმა ჩართო“.

4 სექტემბერს გაშუქდა „ლელოს“ დიღმის ოფისის ხელმძღვანელზე თავდასხმა. „ლელოს“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თავდასხმა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა და მიზეზი პარტიის მზარდი რეიტინგია. „ლელოს“ წევრები მომხდარში ხელისუფლებას და „ქართულ ოცნებას“ ღიად ადანაშაულებენ. ამ ბრალდებაზე დადანაშაულებული მხარის კომენტარი არ გასულა. 28 სექტემბერს „ტვ პირველის“ ეთერში გავიდა ინფორმაცია „ევროპული საქართველოს“ წევრზე „კისტის“ თოფით თავდასხმის შესახებ. ჟურნალისტების ცნობით, თავდასხმა მაშინ მოხდა, როცა დაზარალებული საარჩევნო ბანერებს აკრავდა. ამ თავდასხმაში „ევროპული საქართველოს“ წევრები „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებდნენ, თუმცა „ქართული ოცნების“ საპასუხო კომენტარი ეთერში არ გასულა. 2 ოქტომბერს ასევე დაუბალანსებლად გაშუქდა ინფორმაცია, რომ მარნეულში ბანერები ოპოზიციური მაჟორიტაორი დეპუტატობის კანდიდატის, კახა ოქრიაშვილის გამოსახულებით მერიის წარმომადგენლებმა უკანონოდ ჩამოხსნეს. მარნეულის მერიის პოზიცია არც ამ შემთხვევაში გაჟღერებულა.

„ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვებებში ზოგჯერ გვხვდებოდა მანიპულაციის შემთხვევებიც. „ადამიანები გაღატაკების ზღვარზე არიან, მთავრობა კი ფუფუნებაზე უარს ისევ არ ამბობს. მალე ქვეყანაში 300-ზე მეტი თეთრი ფერის ძვირად ღირებული ავტომობილი გაჩნდება. ეს რომელიმე ჩვენგანის ფუფუნების საგანი არ იქნება - მთავრობამ ეკონომიკური კრიზისის დროს ავტოპარკის განახლება გადაწყვიტა და ამისათვის 25 მლნ ბიუჯეტიდან უკვე გამოყო. -- შავი ჯიპებიდან თეთრ ძვირად ღირებულ ავოტმობილებამდე - ყველა, ვინც სატენდერო დოკუმენტაცია შეისწავლა ამბობს, რომ სახეზეა ფულის ფლანგვის და კეთების სქემა. სატენდერო მოთხოვნებში მონაცემები მთავრობამ ისე დააზუსტა, რომ პირობები

კონკრეტულ კომპანიებს მოარგო. -- წამყვანების ამ ტექსტით დაიწყო სიუჟეტი, რომელიც ეთერში 2 ოქტომბერს გავიდა და 300 ახალი მანქანის შესაძენად გამოცხდებულ 25-მილიონიან ტენდერს ეხება. სიუჟეტი მანიპულაციური და დაუბალანსებელია, მაყურებლისთვის არ არის ნათლად გამოგკვეთილი, რეალურად მთავრობა ძვირად ღირებულ მანქანებს ყიდულობს ჩინოვნიკების კომფორტისთვის, თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო ყიდულობს პოლიციელების და რეინჯერებისთვის სპეციალური დანიშნულების მანქანებს. ასევე, არ არის დასაბუთებული ის ბრალდება, რომ ეს ტენდერი ნამდვილად კონკრეტულ კომპანიაზეა მორგებული.

ობიექტივი

რაოდენობრივი შედეგები

„ობიექტივის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებიას, - „ნამდვილი ამბებს“. საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსს“ და ყველაზე დადებითად გაშუქდა „პატრიოტთა ალიანსი“. მისთვის დათმობილი დროის 51 % დადებითი იყო. ყველაზე უარყოფითად გაშუქდა „ნაციონალური მოძრაობა“ (97 %) და „ევროპული საქართველო“ (87%).

ცნობილია, რომ „ობიექტივის“ დამფუძნებლები „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები არიან და, ალბათ, ეს განაპირობებს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ პარტიისადმი.



შინაარსობრივი შედეგები

„ობიექტივის“ საინფორმაციო გამოშვება ცალსახად მიკერძოებულია „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ. სამონიტორინგო პერიოდში საინფორმაცო გამოშვებაში არ ტოვებენ პარტიის არცერთ აქტივობას და სიუჟეტების ნაწილიც პარტიისთვის აქტუალური თემების მიხედვითაა აგებული. „ობიექტივზე“ „პარტიოტთა ალიანსს“ უწოდებენ „ქვეყნის მთავარ ოპოზიციური ძალას“ ან „მთავარ ოპოზიცურ პარტიას“.

საინფორმაციო გამოშვება „ნამდვილი ამბები“ „ოცნების“ და „პატრიოტთა ალიანსის“ გარდა თითქმის არ აშუქებს სხვა პარტიებს და, თუკი აშუქებს, მხოლოდ მკვეთრად უარყოფით კონტექსტში. „ევროპულ საქართველოს“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - ამ ორ პარტიას, როგორც წესი, მოიხსენიებენ, როგორც „დესტრუქციულ ძალას“ და „სააკაშვილ-ბოკერიებს“, თვითონ მიხეილ სააკაშვილს და გიგა ბოკერიას კი მწამებლებს უწოდებენ.

მწირია საინფორმაციო გადაცემის თემატიკაც. სამონიტორინგო პერიოდში „ნამდვილ ამბებში“ გასული სიუჟეტები ეხებოდა მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსის“ მზადებას აქციისთვის: „პატრიოტთა ალიანსი“ 3 ოქტომბრის მასშტაბური აქციისთვის ემზადება“, „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიას - „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობენ” და ლარის გაუფასურებას. არხი მუდმივად ამზადებს მასალას ეკონომიკურ პრობლემებზე, მთავარი ხაზი კი ისაა, რომ კრიზისს „პატრიოტთა ალიანსი“ თვეების წინ წინასწარმეტყველებდა და ახლა ხსნა მხოლოდ მათი არჩევაა.

ეკონომიკურ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებს „ნამდვილი ამბები“ ხშირად იყენებს „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო პროგრამის და მათი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარმოსაჩენად.

„პატრიოტთა ალიანსის“ პოზიტიურად წარმოჩენას ეხებოდა 7 სექტემბერს 9-წუთიანი სიუჟეტი ილორის ეკლესიიდან საქართველოში ხატის დაბრუნების შესახებ. ჟურნალისტმა, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანი დეტალები გამოტოვა ინფორმაციის მიწოდებისას, სავარაუდოდ, განზრახ დაუშვა შეცდომები, რომლითაც პარტიას პოზიტიურად წარმოაჩენდა. ის ჩართვის დროს აღნიშნავდა, რომ ხატის დაბრუნებას ათიათასობით ადამიანი ესწრებოდა, თუმცა კადრში 1000-ც არ ჩანდა. „საზოგადოება ღიად ამბობს იმას, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ არის ერთადერთი ძალა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების აღდგენა შეუძლია და ამ პროცესში ყველაზე დიდ წვლილს მიმდინარე პროცესში ასრულებს სწორედ „პატრიოტთა ალიანსი“. საზოგადოება ამბობს იმას, რომ ილორის ტაძარში ღვთისმშობლის ხატის შეწირვა და შემდეგ მისი ჩამობრძანება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მომავლისთვის“. - თქვა ჟურნალისტმა. სიუჟეტში არ გასულა ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა „პატრიოტთა ალიანსის“ აფხაზეთში გადასვლის დეტალები, აფხაზთა პოზიცია ხატის ჩატანის მიმართ და, გარდა ამისა, „დოსიეს“ გამოძიება, რომელიც ამ პარტიის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს თანხვდებოდა. მასალაში წარმოდგენილი არ იყო არცერთი სხვა პოლიტიკური ძალა. თუმცა არხმა მაყურებელს შესთავაზა ირმა ინაშვილის 223-წამიანი უწყეტი კომენტარი. იმავე დღეს საინფორმაციო გამოშვებაში მეორე მასალაც

აფხაზეთიდან ხატის გადმოტანასა და შესაბამის გამოხმაურებებს დაეთმო, თუმცა არც აქ უხსენებიათ მნიშვნელოვანი კონტექსტი.

პრაქტიკულად „ობიექტივი“ „პატრიოტთა ალიანსის“ მედიაპლატფორმაა. საინფორმაციო გადაცემის ჟურნალისტების გამონათქვამები არაფრით განსხვავდება „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერთა გამონათქვამებისაგან. ისინი სიუჟეტებში აცხადებენ, რომ მოსახლეობა „დადებითი განწყობებით“ ხვდება პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს და პარტიასა და კანდიდატებს დიდ ნდობას უცხადებს. 7 ოქტომბერს გასულ სიუჟეტში „ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალის მისამართით მოსახლეობა დადებით განწყობებს ღიად გამოხატავს“ ჟურნალისტი ამბობს: „ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალის მიმართ საზოგადოება დადებით განწყობებს არჩევნებამდე 25 დღით ადრე ღიად გამოხატავს. სწორედ ამიტომ „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატები დარწმუნებულები არიან, რომ 31 ოქტომბერს ამომრჩეველი არჩევანს მათ პარტიაზე შეაჩერებს და 8 ნომერს შემოხაზავს. „ჟურნალისტები სიუჟეტებში ასევე ხშირად იმეორებენ „პატრიოტთა ალიანსის“ მთავარ საარჩევნო სლოგანებს: არა - ქართულ ოცნებას! არა - ნაციონალურ მოძრაობას!

არა - ევროპულ საქართველოს!

არა - სააკაშვილი - ბოკერია -კობახიძის შერეულ მთავრობას!

დამნაშავეები უნდა დაისაჯონ!

დანაშაულზე ხელის დამფარებლები უნდა დაისაჯონ!

კი - ჩატეხილი ხიდების აღდგენას სოხუმთან და ცხინვალთან!

„პატრიოტთა ალიანსის“ დადებით გაშუქებასთან ერთად, არხზე არის მიკერძოებული გაშუქების შემთხვევებიც: „არასამთავრობო ორგანიზაციების ვიწრო პოლიტიკური ინტერესების გამოვლენის მორიგი ფაქტი“.

„არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა საკუთარი კომპეტენცია ეჭვქვეშ კიდევ ერთხელ დააყენა“ და მათ საქართველოს პროკურატურას „ყოველგვარი საფუძვლისა და მტკიცებულების გარეშე“, „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსებისა და საქმიანობით დაინტერესებისკენ მოუწოდეს“. -- სიუჟეტში ლაპარაკია ოპოზიციონერ მიხაილ ხოდორკოვსკის მიერ დაარსებული საგამოძიებო ჟურნალისტური პლატფორმის, „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე, რომლებითაც დგინდება, რომ პარტია „პატრიოტთა ალიანსს“ წინასაარჩევნოდ რუსეთი აფინანსებს და წინასაარჩევნო კამპანიასაც უგეგმავენ რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირები, რომლებიც, თავის მხრივ, ამ საქმიანობის შესახებ ანგარიშს სახელმწიფო სტრუქტურებს აბარებენ.

სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ „დოსიე“ გიგა ბოკერიას და მიხეილ სააკაშვილის მეგობრის, კუროპტევის სააგენტოა და მათ მიერ გამოქვეყნებული მასალები „დაუსაბუთებელ და ცრუ ბრალდებებს ეხება“. ჟურნალისტი აცხადებს, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციები კი წინასაარჩევნოდ საგამოძიებო უწყებას იმ სააგენტოზე დაყრდნობით მიმართავენ, რომლის ვებგვერდზეც გარკვევით წერია, რომ მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხს არავინ აგებს“.

ამ სიუჟეტით „ობიექტივი“ თავს ესხმის იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით საქართველოს პროკურატურას გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართეს.

ჟურნალისტის ტექსტი: „არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სხავდასხვა პოლიტიკური პარტიისთვის იარლიყების მიკერებით არიან დაკავებული, არაერთხელ გამხდარან საზოგადოების თუ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის კრიტიკის ობიექტი. ერთ-ერთი, ვისაც ამ ორგანიზაციების უმეტესობა ღიად უპირისპირდება, კინორეჟისორი გოგა ხაინდრავაა. იგი ამბობს, რომ ყველა ეს ორგანიზაცია იმ პოლიტიკური პარტიების დაკვეთებს ასრულებს, რომელთაც საზოგადოებამ უარი ჯერ კიდევ 2012 წელს უთხრა“. სიუჟეტში ჟურნალისტი აცხადებს, რომ საქართველოს რეფორმების ასოციაციის დამფუძნებლები გიგა ბოკერიას დაჯგუფების წევრები არიან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო კი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არის აფილირებული და ამიტომ მისი მოთხოვნა არაობიექტური და მიკერძოებულია.

„ობიექტივზე“ ტრადიციულად, წინა მონიტორინგის მსგავსად, ამჯერადაც არაერთხელ დაფიქსირდა ქსენოფობიური განცხადებების ტირაჟირება. თურქოფობიური სიუჟეტები საინფორმაცო გამოშვებებში მას შემდეგ გახშირდა, რაც „პატრიოტთა ალიანსმა“, წინასაარჩევნოდ გონიოსა და სარფში საარჩევნო ბანერები გააკრა, სადაც აჭარა საქართველოს რუკაზე ოკუპირებულ ტერიტორიად იყო მონიშნული და ეწერა: „დაიცავი აჭარა“,. საზოგადოებაში უარყოფითი შეფასებების გამო ბანერი მოხსნეს.

თურქოფობიურ სიუჟეტებში ბათუმში თურქეთის მოქალაქეების მფლობელობაში არსებულ ქონებას დასდევენ და თურქეთის მხრიდან აჭარის ეკონომიკურ ექსპანსიაზე მიუთითებენ. ისინი, ასევე, ხაზს უსვამენ, რომ წინა ხელისუფლების პირობებში მათ ქონება სიმბოლურ ფასად გადაეცათ, მაშინ, როდესაც ადგილობრივებს ეს პრივილეგია არ ჰქონიათ. ასევე, ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში თურქეთის იმპერიალისტურ მიზნებზეა ლაპარაკი. ამასთან, „ობიექტივზე“ იქაურებს მოიხსენიებენ, როგორც „ეროვნებით თურქებს“ და არა „თურქეთის მოქალაქეებს“.

5 სექტემბერს გავიდა ერთ-ერთი სიუჟეტი, „თურქეთული „რბილი ძალა“, რომელშიც ლაპარაკია აჭარაში თურქი ბიზნესმენების საკუთრებაში არსებულ კომერციულ ობიექტებზე. „აჭარის რეგიონში კვების ობიექტები, ტრანსპორტი, სასტუმროები სუპერმარკეტების ქსელი, სამშენებლო ბიზნესი და სავაჭრო ცენტრები ყველაზე კარგად გამოხატავს თურქეთის პოლიტიკას, ანუ მის ეკონომიკურ ექსპანსიას“, -- ამბობს ჟურნალისტი და გვთავაზობს კიდევ უფრო თურქოფობიურ კომენტარს ორგანიზაცია „მუსლიმი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად“ დამფუძნებლისგან: „თურქები ჩვენი დაუძინებელი მტრები იყვნენ, არიან და იქნებიან. დღეს თურქები სალოცავი გაუხდენ უჭკუო ქართველებს, მამათ გაიხადეს, მზრუნველად გაიხადეს. მაგრამ ეს დროებითია. ისინი ისევ თავიანთ გადაწყვეტილებას, რომ საქართველო თურქებისა იყოს, რომ ქართველები აღარ არსებობდნენ დედამიწაზე, ამის მსურველი არიან“. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ეს სიუჟეტი „ობიექტივის“ ეთერში 19 აგვისტოსაც გავიდა, განსხვავებული სათაურით „თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია“. ამავე შინაარსის სიუჟეტები გავიდა ასევე 1-ელ სექტემბერს და 3 სექტემბერს.

მედია ვალდებულია, არ მოახდინოს ასეთი განცხადებების ტირაჟირება. თუ განცხადებას საჯარო პირი აკეთებს, შესაძლოა, განცხადება ეთერში გაუშვან, მაგრამ რედაქცია მას უნდა გაემიჯნოს, უნდა უთხრას მაყურებელს, რომ ეს ქსენოფობიაა და მიუღებელია. „ობიექტივი“ ასე არ მოიქცა, რაც ეთიკური პრინციპების დარღვევაა.

კავკასია

რაოდენობრივი შედეგები

„კავკასიის“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურად აკვირდებოდნენ 20:30-საათიან საინფორმაციო გამოშვებას „დღეს“. სამონიტორნგო პერიოდში ყველაზე ხშირად შუქდებოდა „ქართულ ოცნება“, მისთვის დათმობილი დროის 35% ნეგატიური იყო. ადგილობრივი მთავრობის უარყოფითი გაშუქება 29 %-ია.

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, „ქართული ოცნების“ უარყოფითი ტონით გაშუქებამ 5%-ით მოიმატა. ასევე 20%-ით მოიმატა ადგილობრივი ხელისუფლების კრიტიკულმა გაშუქებამ.



შინაარსობრივი შედეგები

„კავკასია“ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული არხია. მიმდინარე საზოგადოებრივ -პოლიტიკურ ამბებს ძირითადად ეთიკურად აშუქებს, მაგრამ არხზე არ გადის საკუთარი, სიღრმისეული რეპორტაჟები. „კავკასიის“ გამოხატული პრობლემა ამბების გაშუქების ზედაპირულობაა. სამონიტორინგო პერიოდის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საინფორმაციო გადაცემაში „დღეს“ გაშუქებული საკითხების დიდი ნაწილი ეხებოდა პანდემიასთან და არჩევნებთან დაკავშირებულ თემებს, რა დროსაც, შეიძლება ითქვას, რომ მხარეებს შორის ბალანსი ძირითადად დაცული იყო, თუმცა რამდენჯერმე გამოვლინდა ბალანსის დარღვევის მაგალითებიც. რიგ შემთხვევებში ბალანსი ფორმალურად იყო დაცული.

მაგალითად, დაუბალანსებელი სიუჟეტი გავიდა 26 სექტემბერს „ევროპული საქართველოს“ წევრის, სერგო რატიანის მიერ ჭიათურის მერის, გივი მოდებაძის გადაყენების მოთხოვნით გამართული აქციის შესახებ. სიუჟეტში ისმის მერის მისმართით მძიმე ბრალდებები კორუმპირებულობასა და წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში. სერგო რატიანი აცხადებს, რომ მერი საკუთარი კლანის წევრებს აგებინებს ტენდერებს, იპარავს ფულს და ახლა უნდა ხმების მოპარვა. არაიდენტიფიცირებული სუბიექტი კი ლაპარაკობს ტენდერებზე, მერის გავლენაზე და ამავე დროს, მოითხოვს, რომ მან თავი დაანებოს წინასაარჩევნოდ პედაგოგებზე ზეწოლას. სიუჟეტში გაჟღერებული ინფორმაცია არ იყო გადამოწმებული და ფაქტებით გამყარებული. უფრო მეტიც, თავად მერის პოზიციაც არ არის დაფიქსირებული და კომენტარის მოპოვების მცდელობაც კი არ ჩანს.

„კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებებში ხშირია ე.წ კადრ-სინქრონები, სადაც ყველაზედ ხშირად იკვეთება ეთიკური დარღვევები. 10 სექტემბერს გასულ მასალაში „ევროპული საქართველოს“ წევრი, ხათუნა გოგორიშვილი ადგილობრივ ხელისუფლებას ზღვისპირა ზოლში მიწების დაბალ ფასად გაყიდვაში ადანაშაულებს, რაც კორუფციის ნიშნებსაც შეიცავს, თუმცა დადანაშაულებული მხარის საპასუხო კომენტარი არ გასულა. დაუბალანსებელი ინფორმაცია გავიდა 12 სექტემბერსაც, როდესაც ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ცესკო არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება, კერძოდ, 73 ოლქიდან 42 ოლქში დამოუკიდებელი წევრების მაგივრად „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირები დაინიშნნენ. ამ სიუჟეტში მაყურებელს ცესკოს პოზიცია არ მოუსმენია. ასევე დაუბალნსებელი ინფორმაცია გავიდა გიორგი ვაშაძის ბრიფინგიდან 17 სექტემბერს.

ქსენოფობიური განცხადების ტირაჟირება დაფიქსირდა ,,კავკასიაზე” 15 სექტემბერს -სიუჟეტი ზღვის უბნაში თბილისის მერიამ 7 ოჯახის უკანონოდ აშენებული სახლები დაანგრია. სიუჟეტში უსახკლაროდ დარჩენილი მოქალქეების მხრიდან ისმის ბრალდებები მერიის და კახი კალაძის მიმართ. მათი მხრიდან ისმის ქსენოფობიური განცხადებები სხვა ეროვნების ადამიანების მიმართაც, რომელიც ეთერში გავიდა და, ასევე, ეთერში გადაიცა „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის, შალვა ნათელაშვილის ქსენოფობიური განცხადება: „მთელი ირანი და არაბეთი აქ ჩამოასახლა კახი კალაძემ და ოდიშარიამ. მთელი სამშენებლო ბიზნესი არის მაგათი. ირანს დაუწესეს უვიზო რეჟიმი. ყველა ირანელი, ვინც შეაგროვებს 35 ათას დოლარს, ჩამოდის, აქ ყიდულობს ბინას . თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე აქ ქართული სიტყვის გაგონება მოგვენატრება“. მედია ვალდებულია, ასეთი განცხადებების

ტირაჟირება არ მოახდინოს. თუ განცხადებას საჯარო პირი აკეთებს, განცხადების ეთერში გაშვება შეიძლება, მაგრამ რედაქცია მას უნდა გაემიჯნოს, უნდა უთხრას მაყურებელს, რომ ეს ქსენოფობიაა და მიუღებელია. „კავკასია“ ასე არ მოიქცა, რაც ეთიკური პრინციპების დარღვევაა.

„ფორმულა“

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ „ტვ ფორმულას“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას, „ფორმულა NEWS“-ს, „შაბათის ფორმულას“ და გადაცემა „დროებას“. მთელი პერიოდის განმავლობაში „ფორმულაზე“ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და დათმობილი დროის 68 % ნეგატიური იყო. ყველაზე უარყოფითად კი ადგილობრივი ხელისუფლება გაშუქდა, რადგან მისთვის დათმობილი დროის 76% უარყოფითი იყო. მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, „ქართული ოცნების“ უარყოფით ტონში გაშუქებამ 23 %-ით მოიმატა. ასევე , 25 % -ით გაიზარდა ადგილობრივი მთავრობის უარყოფითი გაშუქება.



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში შუქდებოდა მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბები. მონიტორინგის პერიოდში აქტიურად შუქდებოდა წინასაარჩევნოს საკითხები და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესები. განსაკუთრებით კრიტიკულად არხი ბიძინა ივანიშვილს და მმართველი პარტიის საქმიანობას აშუქებს.

„ფორმულა ნიუსი“ ძირითადად იცავს ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს. რაც შეეხება „შაბათის ფორმულასა“ და „დროებას“, ამ გადაცემებში ხშირად მიმართავენ ფაქტებით, კადრებითა და მუსიკით მანიპულირების ხერხებს მაყურებელზე ზეგავლენის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, ამ გადაცემაში წამყვანები და ჟურნალისტები არ ერიდებიან ხელისუფლების მიმართ ხშირად დამცინავი, არაკორექტული ლექსიკის გამოყენებას. „ძალიან სამწუხარო იქნება, მაგრამ ალბათ არ გაგვიკვირდება, თუ არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე ვნახავთ გაუგებარი ადამიანების გუნდებს, რომლებიც ამომრჩეველზე მოახდენენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას. არც ის იქნება გასაკვირი, რომ უბნებზე ვნახავთ ვითომ შემთხვევით ჩავლილ მოჭიდავეებს, რომლებიც შემდეგ სცემენ ოპოზიციის კანდიდატებს და მათ ამისთვის პასუხს არავის მოსთხოვს. ვიყოთ ოპტიმისტები და გვჯეროდეს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ეს ძალიან ცუდი ფორმა წარსულში დატოვა და აღარ გაიმეორებს. წარსულისთვის გადასაბარებელი კი მმართველ გუნდს ბევრი აქვს, მათ შორის, ქართული, ჯიგრული პონტი, კორუფცია და ტენდერები წლებია, ყბადაღებული და დაუსრულებელი თემაა. როგორ ვიშოვოთ მილიონები მარტივად: მხოლოდ მმართველ გუნდთან მეგობრობით”. -- განაცხადა „შაბათის ფორმულას“ წამყვანმა ეთერში.

„შაბათის ფორმულა“ და „დროება“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ბიძინა ივანიშვილის უარყოფთ კონტექსტში წარმოჩენას და ამის მისაღწევად ხან ლიტერატურულ პერსონაჟს, არქიფო სეთურს ადარებენ, ხან - სსრკ-ს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, ლეონიდ ბრეჟნევს.

„ფორმულას“ ეთერში ოპოზიციის მიმართ კრიტიკული სიუჟეტები, ფაქტობრივად, არ გადის. კრიტიკის მთავარი ობიექტია ხელისუფლება. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც სიუჟეტებში ბალანსი მხოლოდ ფორმალურად არის დაცული. ზოგჯერ შეინიშნება ოპოზიციის სასიკეთდ ბალანისის დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, სიუჟეტი „წინასაარჩევნო დარღვევები“ 24 სექტემბერს გავიდა ეთერში და ეხება ომბუდსმენის ანგარიშს წინასაარჩევნო დარღვევების შესახებ. „ფორმულას“ საინფორმაციო გამოშვებაში კი ახსენეს მხოლოდ ის დარღვევები, რომლებზეც პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას და მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“. სიუჟეტში არაფერია ნათქვამი ოპოზიციის მხრიდან არსებულ დარღვევებზე. გარდა ამისა, დაუბალანსებელია და არ ჩანს, რომ ჟურნალისტი შეეცადა, ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარების მოპოვებას. 2 ოქტომბერს გავიდა სიუჟეტი

„მილიონები მანქანებისთვის“, რომელიც კრიზისის პირობებში ავტომობილების რამდენიმე მილიონად შეძენას ეხება. ჟურნალისტისა და ოპოზიციის კომენტარებიდან ჩანს, თითქოს ხელისუფლება ამ ავტომობილებს ყიდულობს ჩინოვნიკებისთვს, თუმცა მაყურებელს არ აწვდის ინფორმაციას, რა მოდელის, რა რაოდენობის ავტომობილებს

ყიდულობს ხელისუფლება და რა იქნება მათი დანიშნულება. სიუჟეტი შეიცავს ფაქტებით მანიპულირების ნიშნებს. მხოლოდ „ოცნების“ წარმომადგენელი ახსენებს მოკლედ, რომ ეს ავტომობილები განკუთვნილია პოლიციისა და რეინჯერებისთვის, მაგრამ მაყურებელი ამ ინფორმაციას სიუჟეტიდან ვერ იღებს. გარდა ამისა, არ არის ტენდერის გამომცხადებელი ორგანოების პასუხი და მხოლოდ უმრავლესობის ლიდერთა განცხადებები რეალურს ბალანსს ვერ უზრუნველყოფს.

9 სექტემბერსაც გავრცელდა დაუბალანსებელი ინფორმაცია „ზეწოლა სკოლის დირექტორებზე“. „ფორმულა ირწმუნება“, რომ მათი ინფორმაციით, ხელისუფლებამ საჯარო სკოლებში მისთვის არასასურველი კადრების წმენდა დაიწყო. „ახალი დირექტორების შესარჩევი კონკურსი მარტის თვეში უნდა გამართულიყო, თუმცა კონკურსი სამინისტრომ პანდემიის მოტივით შეაჩერა, მაგრამ ამავე მიზეზით არ ჩაუშლია გამოცდები. კითხვაზე მარტივი პასუხი აქვთ პოლიტიკოსებს და განათლების სპეციალისტებს. მათი თქმით, ხელისუფლება წინასაარჩევნოდ სრულ მობილიზებას აცხადებს და თავისთვის სანდო კადრებს არჩევს. ირკვევა, რომ „ოცნების“ რჩეულ დირექტორებს, რომლებსაც ამოეწურათ 6-წლიანი უფლებამოსილება, მოვალეობის შემსრულებლებად ნიშნავენ. ვინც უარი თქვა ხელისუფლებასთან გარიგებაზე, სკოლიდან დევნიან“. - ამბობენ წამყვანები. მიუხედავად იმისა, რომ, წარსული გამოცდილების თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, ბრალდებებს, შესაძლოა, საფუძველი ჰქონდეს, სიუჟეტში არ არის არცერთი მტკიცებულება, რომელიც წამყვანის ამ განცხადებას დაადასტურებს. სიუჟეტის ავტორი ამბობს, რომ 1400-მდე დირექტორი, შესაძლოა, უსამსახუროდ დარჩეს. ასევე, „ფორმულას“ მტკიცებით, ის დირექტორები, რომლებიც ხელისუფლების მიმართ ლოიალურად არიან განწყობილები, სკოლებში დატოვეს მოვალეობის შემსრულებლებად, დანარჩენები გაათავისუფლეს. არგუმენტი, რითაც „ფორმულა“ და მისი რესპონდენტები ამ განცხადების გამყარებას ცდილობენ, არის ის, რომ სკოლის დირექტორების შესარჩევი კონკურსი მარტში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა, პანდემიის გამო გადაიდო. ამასთან, სიუჟეტში არ ჩანს არცერთი ადამიანი, ვისაც დევნა შეეხო. აღსანიშნავია, რომ იმავე თემაზე მომდევნო დღეს, 10 სექტემბერს, ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც ტელეარხმა გათავოსიფლებული დირექტორიც გაგვაცნო და ამბავი არგუმენტირებულად გადმოსცა.

„ჩალით დახურულ ქვეყანაში საჩხერელების სახლებს ფერადი სახურავები აქვს. ვინ გააკეთა? ივანიშვილმა. ლამაზია. ამის არდანახვა შეუძლებელია. ქუჩები მოწესრიგებელია, მაგრამ თითქმის ცარიელი. ბიძინამ ადგილობრივებს ბევრი რამ მისცა, მაგრამ მთავარი წაართვა - თავისუფლება. არქიფო სეთური ხომ გაგიგიათ? ახლა სწორედ არქიფო სეთურის პერსონაჟს ჰგავს ივანიშვილი. ადამიანი, რომელიც ღია ასპარეზზე გამოჩენიდან მოყოლებული, უკეთესი ცხოვრების იმედს აძლევს ყველას. მისი მთავარი საყრდენი არჩევნებიდან არჩევნებამდე გაღარიბებული მოქალაქეა, რომელსაც წინასაარჩევნოდ მოჩვენებასავით გამოეცხადება, თუ საქმეს დასჭირდა, ბოდიშსაც მოიხდის, მწუხარებასაც დაიწერს სახეზე.“ -- ასეთი ტექსტი გამოიყენა გადაცემა „დროებას“ ჟურნალისტმა სიუჟეტში „არქიფოს აჩრდილი“, რომელიც 27 სექტემბერს გავიდა ეთერში. სიუჟეტი ეხება საჩხერეს და კადრებით, დამცინავი ტექსტის და მუსიკის მანიპულირებით ბიძინა ივანიშვილს უკიდურესად ნეგატიურიუად წარმოაჩენს. უარყოფითი ეფექტის გასაძლიერებლად გამოყენებულია ნაწყვეტი ფილმიდან „დათა დუთაშხია“, რომელიც ეხება არქიფო სეთურს. მთელი სიუჟეტის მიზანია, პარალელები

გაავლოს ბიძინა ივანიშვილსა და „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟს, მამა-მარჩენალ არქიფო სეთურს შორის. ტექსტით, კადრებითა და მუსიკით მანიპულირებას მიმართავს ჟურნალისტი კიდევ ერთ სიუჟეტში ოლიგარქის პარალელური რეალობა

POSTV

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ POSTV-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 19 საათზე. სამონიტორინგო პერიოდში პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და დათმობილი დროის 51% დადებითი იყო. ყველაზე ნეგატიურად მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 83 % - უარყოფითი ტონით. POSTV-ის ეთერში დადებითად გაშუქდა მთავრობაც, მისთვის დათმობილი დროის 41 % პოზიტიური იყო.

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, „ქართული ოცნებისა“ და მთავრობის დადებით ტონში გაშუქებამ მოიმატა, ასევე გაიზარდა მიხეილ სააკაშვილის უარყოფითი ტონით გაშუქება.



შინაარსობრივი შედეგები

ტელეარხი POSTV ხელისუფლებისადმი მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევა, რადგან მის ეთერში ფაქტობრივად არ გადის კრიტიკული რეპორტაჟები ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მისამართით. არხი მუდმივად დადებითად წარმოაჩენს მმართველ პარტიას და, ასევე, მუდმივად ცდილობს ოპოზიციის დისკრედიტაციას. POSTV-ზე ოპოზიციას ძირითადად „რადიკალებად“ მოიხსენიებენ.

არხი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და პოზიტიურ ჭრილში აშუქებს თემებს სამთავრობო გადაწყვეტილებებისა და პროგრამების შესახებ, ასევე, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინფრასტრუქტურულ პროექტებს. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს არხი კოვიდ-19-თან დაკავშირებულ სამთავრობო პროგრამებსა და ინიციატივებს.

იგი ასევე დიდ დროს უთმობს მმართველი პარტიის წინასაარჩევნო ღონისძიებებს.

1-ელ ოქტომბერს POSTV-ს საინფორმაციო გამოშვების პარალელურად მაყურებელს სთავაზობდნენ ჩართვას „ქართული ოცნების“ 150-კაციანი სიის წარდგენის ცერემონიიდან. ჩართვა იყო როგორც გადაცემის დასაწყისში, ასევე ბოლოში. ტრადიციულად, მმართველ გუნდთან დაკავშირებით ჟურნალისტები ღიად ლოიალურები ჩანან, რაც ტონსა და შეფასებებშიც აშკარაა. გადაცემის ძირითადი დროის დასრულების შემდეგ კი საინფორმაციო გამოშვების ფორმატში გავიდა „ქართული ოცნების“ სრული სიის წარდგენის ლაივი. მმართველი გუნდის „ამბიციურ გეგმებზე“ საუბრისას ჩართვის ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ თავის გამოსვლაში პარტიის თავმჯდომარე, ბიძინა ივანიშვილი „შეაჯამებს 8 წელს: რა შეიცვალა ქვეყანაში 2012 წლის შემდეგ, რა რეალობაში აღმოჩნდა ქვეყანა მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა 8 წლის წინ, რა მიღწევები აქვს ახლა მმართველ გუნდს ადამიანის უფლებების მიმართულებით, ჯანდაცვის მიმართულებით და გეგმები ასევე თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, რის განხორციელებასაც მმართველი გუნდი მომდევნო 4 წლის განმავლობაში აპირებს“. ჟურნალისტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ „ერთ-ერთი მთავარი გეგმა“ საქართველოს ევრკავშირში გაწევრებას შეეხება 2024 წლისთვის. არანაირი კრიტიკული მოსაზრება ან კითხვა POSTV -ს ეთერში არ ისმის „ქართული ოცნების“ მიმართ.

2 ოქტომბერს POSTV აჯამებს წინა საღამოს მმართველი გუნდის ლაივში გაშვებული საარჩევნო პროგრამის დეტალებს წინა ხელისუფლების 2012 წლამდელი ქმედებების საპირწონედ და ამისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროინდელ საარქივო კადრებს იყენებს. 2 ოქტომბერს POSTV -იმ ექსპერტებსაც შეაჯამებინა „ქართული ოცნების“ პროგრამა, ოღონდ ისე, რომ მხოლოდ დადებითი შეფასებები წარმოუდგინა მაყურებელს, არსად ისმოდა ვინმეს კრიტიკული ხმა 4-წუთიან სიუჟეტში.

POSTV-მ 5 ოქტომბერს ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა ბიძინა ივანიშვილის ოჯახისა და ფონდი „ქართუს“ მიერ ძველი იპოდრომის ტერიტორიის მერიისთვის უსასყიდლოდ გადაცემას ცენტრალური პარკის გასაშენებლად. გადაცემის წამყვანიცა და ამბის მთხრობელიც აღნიშნავენ მოვლენის ისტორიულ მნიშვნელობას და იმას, რომ მალე დედაქალაქს „უნიკალური რეკრეაციული ზონა ექნება“ და რომ რამდნიმემილიონლარიან პროექტს სრულად ფონდი „ქართუ“ დააფინანსებს. სიუჟეტში პარკის მნიშვნელობაზე საუბრობენ

მერი კახა კალაძე და მმართველი გუნდის სხვა ლიდერებიც, რომლებიც, თავის მხრივ, მადლიერებას გამოხატავენ ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების მიმართ. ამბის თხრობისას ისიც ნახსენებია, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების გეგმა იყო ამ ადგილას „უსახური კორპუსების“ გაშენება.

POSTV-ზე ოპოზიციის შესახებ მომზადებული ყველა სიუჟეტი მკვეთრად კრიტიკულია, ხანდახან ასეთი მასალები შეიცავს დისკრიმინაციულ გამონათქვამებსაც. ასეთ სიუჟეტებში ჩანს თავად ჟურნალისტების მიკერძოებაც, მათი ტექსტები ხშირად შეფასებითი, ცინიკური ან ირონიულია; POSTV ოპოზიციას გამუდმებით მოიხსენიებს ლექსიკით - „რადიკალური ოპოზიცია“, ან, უფრო მოკლედ - რადიკალები.

POSTV ხშირად ამზადებს მასალებს ოპოზიციაში არსებული შეუთანხმებლობის შესახებ (საერთო კანდიდატების დასახელებაზე) და ცდილობს, ამ მასალებში განსაკუთრებული სიმძაფრით აჩვენოს ოპოზიციაში არსებული დაპირისპირება; ასევე, ცდილობს, მაყურებელი დაარწმუნოს, რომ ოპოზიციას დაბალი რეიტინგი აქვს. მაგალითისთვის გამოდგება 4 სექტემბერს გასული სიუჟეტი, „პოლიტიკური ქორწინება“ -- ოპოზიციის დისკრედიტაცია, ირონიული და ცინიკური სიუჟეტი კახა ოქრიაშვილის „ძალა ერთობაშიასთან“ შეერთებაზე.

„უმწიფარი პოლიტიკური შეყვარებულების ფლირტს ჰგავდა დღეს გამართული შეხვედრა. წარსულში ერთმანეთის კრიტიკისა და შეურაცხყოფის შემდეგ შერიგდნენ და, მეტიც, ურთიერთობაც გააოფიციალურეს, ხელი მოაწერეს. არჩევნებში ერთად გადიან. ოქრიაშვილი საკუთარ ბიზნესზე ფიქრობს სამომავლოდ, „ნაციონალური მოძრაობაც“ ოქრიაშვილის ბიზნესზე ფიქრობს, სადღეისოდ, არჩევნებისთვის. სხვა საერთო მათ ვერც იდეოლგიურად და ვერც მორალურად ვერ ექნებათ. ამას ახლო წარსულიც მოწმობს“. - ამბობს სიუჟეტის ავტორი.

23 სექტემბრის პირველივე სიუჟეტის ანონსში, სათაურით „დაშლილი ოპოზიცია“ გვხვდება ჟურნალისტის შემაჯამებელი სიტყვები „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წევრების მიმართ: „ვინ მიაყოლებს წაქცეულს წიხლს“. ამავე გამოშვებაში ჟურნალისტი გვიანონსებს ამბავს „ხაზარაძის გაუმაძღარი მადის“ შესახებ, რასაც მოჰყვება პარტია „ლელოს“ ლიდერის, მამუკა ხაზარაძის ერთ-ერთ წინასაარჩევნო განცხადებასთან დაკავშირებული 8-წუთიანი სიუჟეტი, სადაც POSTV-ის წამყვანიცა და ჟურნალისტიც იყენებენ მის მიმართ დისკრიმინაციულსა და შეურაცხმყოფელ ლექსიკას, რაც გარკვეულწილად აისახება მათსავე რესპონდენტებზე, როგორც ექსპერტებზე, ასევე მმართველი გუნდის წევრის შეფასებებზე. ოპოზიციის კომენტარები გარკვეულწილად თავშეკავებულია.

25 სექტემბერს POSTV-ის ეთერში ისევ გავიდა მამუკა ხაზარაძის საწინააღმდეგო სიუჟეტი, რომელიც ახალი ან წინა მასალისგან განსხვავებული არ ყოფილა და იგივე იყო სინქრონებითაც კი. საინფორმაციო გადაცემაში ლაპარაკია იმაზე, რომ ბანკირი ხაზარაძე თავისი მევახშეობის საწინააღმდეგო იდეებით „კონკურენტებს იშორებს“ და რომ ამ ლოგიკით ის წვრილი საფინანსო ორგანიზაციების მოწინააღმდეგეა. „მევახშეობის გაუქმებით ბანკირ ხაზარაძეს ბაზარზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კერძო პირების ჩაძირვა სურს“, ამბობს ამბის მთხრობელი და დასძენს: „ჩნდება ეჭვი, რომ პოლიტიკურ მიზნებს მიღმა სწორედ ბანკის

ფინანსური ინტერესები იმალება“. გარდა ამისა, თიბისი ბანკი მოხსენიებულია, როგორც „მამუკა ხაზარაძის ბანკი“, რომელმაც მილიონობით ლარი „მიისაკუთრა“. სიუჟეტის ავტორი „პოპულისტურს“ უწოდებს ხაზარაზის ინიცატივას ახალგაზრდებისთვის ბინების შეძენის შესახებაც და იქვე ოპოზიციისა და მმართველი გუნდის შეფასებებს იშველიებს ამ ამბის აბსურდულობის სადემონსტრაციოდ, რითაც კიდევ ერთხელ ხდება ცხადი კონკრეტულად მამუკა ხაზარაძის მიმართ დისკრედიტაციული ნარატივი.

განსაკუთრებით აქტიურად აშუქებენ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ თემებს. ჟურნალისტი ძირითადად უარყოფით, დამცინავ და სარკასტულ ენას იყენებს ოპოზიციური პარტიებისა და მათ წარმომადგენლებთან დაკავშირებულ სიუჟეტებში: „მასკარადი კიევურ ვენახში“ , „კომედიური ჟანრის პიარი“, „ვბრუნდები! - არ ვბრუნდები“, „სააკაშვილის ძილისპირული“, „უარყოფილი სააკაშვილი“, „სააკაშვილის ქართული ოცნება“.

მიხეილ სააკაშვილს POSTV-ზე მოიხსენიებენ, როგორც: „გაქცეულ პრეზიდენტს“, „ბრალდებულ პრეზიდენტს“, „უკრაინას თავშეფარებულ პრეზიდენტს“. მის შესახებ მომზადებული მასალები მკვეთრად უარყოფითი და ცინიკურია. ასეთ სიუჟეტებში ირონია და ცინიზმი ისმის ჟურნალისტის ტექსტებშიც.

POSTV-ზე, ისევე როგორც „იმედზე“ რამდენიმე სიუჟეტი გავიდა ნიკა გვარამიას სტატუსის შესახებ, მათ შორის ,,სააკაშვილის რუპორის სტატუსი“, რომელიც ძირითადად „მთავარი არხის“ და ნიკა გვარამიას ლანძღვას დაეთმო .

გენდერული სტერეოტიპები საინფორმაციო სატელევიოზიო ახალ ამბებში

მონიტორინგის პერიოდში სატელევიზიო ახალ ამბებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაკეთებულა.